# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№69 (9900) 2025 წლის 14 მაისი, ოთხშაბათი


# „დიფ სთეითთან“ მებრძოლო აშშ-ის პრეზიდენტო დონალდ ტრამპ, საქართველო ღირსია თქვენი ყურადღებისა!



ირაკლი კობახიძე:

● საქართველოსთან დაკავშირებით თქვენს დუმილს ჩვენთვის ლოგიკური ახსნა არა აქვს.

● ინტერესი თქვენ გამოხატეთ რუმინეთისა და გერმანიის მიმართ, სადაც ევროპული ბიუროკრატიის მხარდაჭერით, არადემოკრატიული აქტები განხორციელდა. თუმცა, ქართველი ხალხის და ჩვენდა გასაკვირვად, საქართველოსთან მიმართებით ამგვარი ყურადღება თქვენ დღემდე არ გამოგიჩენიათ.

● ჩვენ მაინც ვინარჩუნებთ ოპტიმიზმს და გვაქვს იმედი, რომ „დიფ სთეითთან“ თქვენი დაპირისპირება გულწრფელია და ის „დიფ სთეითის“ დამარცხებით დასრულდება. საქართველოს ხელისუფლება მოთმინებით ელოდება ამ მომენტს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენას ჩვენს ქვეყნებს შორის.

იხ. 4 გვ.



## რატომ ვაგვიანებთ რუსეთთან დიალოგს?! 4

საქართველო მომავალში მსოფლიოს სამი მოთამაშის — რუსეთის, ჩინეთისა და ამერიკის თანაბარი ინტერესების პოლიგონად იქცევა, რაც სწორედ მის ნეიტრალურობას განსაზღვრავს!



შავი იუმორი

## რუსისტები, ევრო-ლოველები და „მიშაში ჩარჩენილები“ 4

ვიქტორ რცხილაძე:

## გამოსავლის ძებნაში 6

დასავლეთის ერთობლივი შემოტევის დროს გამოსავალი მხოლოდ ერთია: ორიენტაციის აღება ისევ ერთმორწმუნე რუსეთზე!

## რა ხდება პუტინის იარაღის საიდუმლო იმპერიაში?!



იხ. 8 გვ.

მამუკა არეშიძე:

## კონფედერაცია ჩვენთვის დამღუპველი იქნება 5

საქართველოს ხელისუფლებასთან ვაჭრობის საგანი, შესაძლოა, მოსკოვის მხრიდან სერიოზული დათმობები იყოს...

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# ღია წერილი

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ დონალდ ტრამპს

# ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ჯეი დი ვანსს



**რამდენიმე კვირის წინ მოგმართეთ წერილით ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილს წინ უსწრებდა ჩემი საჯარო განცხადებები, სადაც ღიად გამოვხატავდი საქართველოს მზაობას, სუფთა ფურცლიდან, კონკრეტული გზამკვლევით განგვეახლებინა სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსა და აშშ-ს შორის. თუმცა, პასუხი ჩვენს წერილზე და საჯარო განცხადებებზე დღემდე არ მიგვიღია. მეტიც, დღემდე უმაღლეს დონეზე არ შემდგარა არავითარი კომუნიკაცია საქართველოსა და აშშ-ს ხელისუფლებებს შორის.აღნიშნული დუმილი გასაკვირია ქართველი ხალხისთვის და საქართველოს ხელისუფლებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო:**

– **პირველ რიგში,** უკვე მრავალი წელია, საქართველო არის აშშ-ის ყველაზე საიმედო პარტნიორი ჩვენს ურთულეს რეგიონში, რომელსაც აშშ-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საქართველო მხარში ედგა აშშ-ს ყველაზე ცხელ წერტილებში, მათ შორის ერაყსა და ავღანეთში, სადაც საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ჯარისკაცით იყო წარმოდგენილი. მხოლოდ ამ ორ მისიაში მონაწილეობით, ჩვენმა პატარა ქვეყანამ აშშ-ს 2.5 მილიარდი დოლარი დაუზოგა, რაც აშშ-ს ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გაწეულ რეალურ (!) დახმარებას მრავალჯერ აღემატება (რეალურ დახმარებაში არ ვთვლით თანხებს, რომელიც აშშ-ს ბიუჯეტიდან ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გადასარჩენად გამოიყო 2008-11 წლებში, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა „დიფ სთეითის“ დავალებით რუსეთთან ომი დაიწყო; რეალურ დახმარებაში, ასევე, არ ვთვლით თანხებს, რომელიც ამერიკის საელჩოს, USAID-ის, NED-ის, სოროსის ფონდის და სხვა არხებით, საქართველოში რადიკალიზმისა და სიძულვილის გასაღვივებლად, რევოლუციების მოსაწყობად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმიჯის შესალახად, რელიგიური ექსტრემიზმის წასახალისებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების დასასუსტებლად, გენდერული და ლგბტ-პროპაგანდის საწარმოებლად და სხვა მსგავსი მიზნებით გამოიყოფოდა).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველო მრავალი წლის მანძილზე აშშ-სთვის ნამდვილ სტრატეგიულ პარტნიორად რჩებოდა და ამგვარი სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენის მზაობას დღესაც გამოხატავს, ახალი ადმინისტრაციის დუმილი როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე ქართველი ხალხისთვის გასაკვირია;

– **საერთაშორისო** რეიტინგების თანახმად, საქართველო არის ლიდერი რეგიონში დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლების, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერის, კორუფციის სიმცირის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. საქართველოს ლიდერობას ადასტურებენ ისეთი ინსტიტუტებიც, რომელთა მიმართ თქვენს ადმინისტრაციას განსაკუთრებული ნდობა აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით და იმ ფონზე, რომ თქვენ არაერთ, თუნდაც, ღიად არადემოკრატიულ და ავტორიტარულ სახელმწიფოსთანაც აწარმოებთ აქტიურ დიალოგს და კომუნიკაციას, საქართველოსთან დაკავშირებით თქვენს დუმილს ჩვენთვის ლოგიკური ახსნა არა აქვს;

– **რაც განსაკუთრებით** მნიშვნელოვანია, თუ დავაკვირდებით ჩვენი ხელისუფლებისა და თქვენი ადმინისტრაციის საჯარო რიტორიკას, თვალშისაცემია სრული ღირებულებითი და იდეოლოგიური თანხვედრა ჩვენს ხედვებს შორის. ჩვენ ღიად ვსაუბრობდით „დიფ სთეითის“, USAID-ის, NED-ის და სხვა შესაბამისი სუბიექტების დანაშაულებრივ საქმიანობაზე რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე თქვენ იდენტურ განცხადებებს გააკეთებდით. ჩვენ გვაქვს სრულიად იდენტური შეფასებები უკრაინის ომთან, გენდერულ და ლგბტ-პროპაგანდასთან და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით. ამგვარი ღირებულებითი და იდეოლოგიური თანხვედრის ფონზე, ქართველი ხალხის პირვანდელი მოლოდინი იყო, რომ საქართველო იქნებოდა ერთ-ერთი პირველი, რომლის მიმართაც თქვენი ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავდა. ამგვარი ინტერესი თქვენ გამოხატეთ რუმინეთისა და გერმანიის მიმართ, სადაც ევროპული ბიუროკრატიის მხარდაჭერით, არადემოკრატიული აქტები განხორციელდა. თუმცა, ქართველი ხალხის და ჩვენდა გასაკვირვად, საქართველოსთან მიმართებით ამგვარი ყურადღება თქვენ დღემდე არ გამოგიჩენიათ.

**მეტიც,** კვლავაც ძალაშია სრულიად გაუგებარი სანქციები საქართველოს ვიცე-პრემიერის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და USAID-ის ხაზით დაფინანსებული რევოლუციის მცდელობა და ძალადობა ეფექტურად აღკვეთეს. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ ამერიკის კონგრესმა მიიღო აბსურდული კანონი – ე.წ. „მეგობარი აქტი“, რომელიც არის მტრულად გამსჭვალული ქართველი ხალხის და მის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ. სიტყვა „მეგობარის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს კანონი გვახსენებს ჯორჯ ორუელის მოდელს, რომლის მიხედვითაც **ომი არის მშვიდობა, მტერი კი – მეგობარი**. სხვადასხვა პარლამენტისგან აბსურდული აქტების მიღებას ჩვენ ბოლო პერიოდში მიჩვეული ვართ და ამდენად, „მეგობარი აქტზე“ საერთოდ არ გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა ის გარემოება, რომ ამ აქტს არაერთი სუბიექტი თქვენს ადმინისტრაციას მიაწერს. ამ აღქმას ამყარებს ის გარემოებაც, რომ თქვენს ადმინისტრაციას „მეგობარი აქტზე“ არავითარი კრიტიკული განცხადება არ გაუვრცელებია. ამ ყველაფრის გამო, ეს კანონი ამცირებს ქართველი ხალხის ნდობას არა მხოლოდ კონგრესის, არამედ, სამწუხაროდ, თქვენი ადმინისტრაციის მიმართაც, რომელსაც ქართველი საზოგადოება სხვაგვარი იმედით შეჰყურებდა.

ბოლოდროინდელი მოვლენები ქართველ საზოგადოებაში აჩენს განცდას, რომ განცხადებები „დიფ სთეითის“ დამარცხების შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელის რებრენდინგის მცდელობაა და სხვა არაფერი. ხალხისთვის გასაკვირია, რომ თქვენ ბაიდენის გადაწყვეტილებებს მკაცრად აკრიტიკებთ, მაგრამ მის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს დღემდე არ ასწორებთ.

**თუმცა,** ჩვენი ხელისუფლება საჯარო განცხადებებში კვლავაც გამოხატავს ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი ადმინისტრაცია „დიფ სთეითის“ დამარცხებას რეალურად შეძლებს, რაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვაზე და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენაზე უსათუოდ აისახება. რეალურადაც, ამის ძალზე დიდი იმედი გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავაც გაგრძელდება ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში დაგეგმილი რევოლუციური სცენარის მოქმედება. შეგახსენებთ, რომ USAID-ისა და NED-ის მიერ დატრენინგებული და დაფინანსებული 250-მდე ადამიანი დღემდე ყოველდღიურად იკრიბება ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ „დიფ სთეითს“ რევოლუციის გეგმა თაროზე ჯერაც არ შემოუდია.

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები კითხვებს ემატება, ჩვენ მაინც ვინარჩუნებთ ოპტიმიზმს და გვაქვს იმედი, რომ „დიფ სთეითთან“ თქვენი დაპირისპირება გულწრფელია და ის „დიფ სთეითის“ დამარცხებით დასრულდება. საქართველოს ხელისუფლება მოთმინებით ელოდება ამ მომენტს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენას ჩვენს ქვეყნებს შორის.

**წარმატებებს გისურვებთ ამ ბრძოლაში!**

**ამერიკის შეერთებულ შტატებს ვუსურვებთ სიმტკიცეს და კეთილდღეობას!**

## ძვირფასო დონალდ, ძვირფასო ჯეი!

**ახლა თქვენ შემოგყურებთ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პატარა, მაგრამ მინიმუმ, 3500-წლოვანი ისტორიის და შთამბეჭდავი, განსაცვიფრებელი კულტურის მქონე საქართველო და ქართველი ხალხი!**

**უმორჩილესად გთხოვთ, გაიგოთ სიმართლე თქვენი უერთგულესი მეგობრის და სტრატეგიული პარტნიორის საქართველოს შესახებ, გააუქმოთ ყალბი, სამარცხვინო „მეგობარი“ აქტი, ბოლომდე შეუტიოთ საიდუმლო, მასონურ „დიფ სთეითს“ და გადაარჩინოთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქრისტიანული ქვეყანა!“**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

№69. ოთხშაბათი, 14 მაისი, 2025 წელი

პუბლიცისტური სჯანი

საქართველოს რესპუბლიკა





# ხალხს აინტერესებს, რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება ევროპასთან, აშშ-სთან ურთიერთობების დასალაგებლად?

## ამერიკული მეგობრობა მშობლიურ ქართულ ენაზე!

**როგორც ველოდით, 6 მაისს ამერიკის კონგრესის ქვედა პალატამ მიიღო დაპირებული გადაწყვეტილება, ეგრეთ წოდებული „მეგობარი აქტი“. ძალიან მოკლედ, იგი პარტია „ქართული ოცნებისა“ და მასთან დაახლოებული პირების დასანქცირებას გულისხმობს.**

**სამიოდე დღის შემდეგ ზუსტად იმავე შინაარსის სანქციებზე და საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე მრისხანე განცხადება გააკეთა ევროკავშირის ელჩმაც.**

**ჯერჯერობით კანონპროექტის დონეზე არსებული (ვიდრე სენატი დაამტკიცებდეს) ეს „მეგობარი აქტი“ აშშ-ის პრეზიდენტს ფორმალურად ავალდებულებს სანქციების დაწესებას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებზე, თუ ისინი „მონაწილეობენ მნიშვნელოვან კორუფციაში, ეწევიან საქართველოს მოქალაქეების დაშინებას, ანუ აიძულებენ მათ წინ აღუდგნენ საქართველოს ევროატლანტიკურ გაერთიანებაში ინტეგრაციას“...**

ამ „ყოვლად მეგობრული“ ამერიკული აქტის მიხედვით, სანქციები შეეხება ნებისმიერ პირს (და მისი ოჯახის წარმომადგენელს), ვინც 2014 წლის პირველი იანვრიდან იყო მმართველი პარტიის, პარლამენტის ან მთავრობის წევრი.

მოკლედ, შემიძლია მშვიდად ვიყო – სანქციები არ მეხება მე, ვინც არასდროს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი, ან თანამდებობის პირი და, რაც მთავარია, არასოდეს არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. **ამავე დროს, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ძმები ახალაიები, ირაკლი კოდუა, გიგი უგულავა... ვის კისერზეც ასეულობით უდანაშაულო ადამიანის სისხლია.**

შეუძლია მშვიდად იყოს და მეგობარ ევროპა-ამერიკაში მამა აბრამის ბატკნის გამომეტყველებით უსასრულოდ იმოზაუროს ამ ბოლო დროს ქართული ტელევიზიების გულთა მპყრობელმა ბატონმა გია ბარამიძემაც. დიახ, იმ უპატიოსნესმა მარადიულად ნორჩმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვისი უშუალო ბრძანებით და უშუალო ხელმძღვანელობით ე.წ. „ქუთაისური სპეცოპერაციის“ შედეგად დაიღუპა ხუთი ადამიანი, მათ შორის, ერთი ფეხმძიმე ქალბატონი... იმ გია ბარამიძემ, ვისი უშუალო ბრძანებითა და ხელმძღვანელობით სვანეთში უამრავი მოწმის, მათ შორის ოჯახის წევრებისა და მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ სადისტურად დახვრიტეს ამდენივე ადამიანი.

მისი ბედნიერი და მხიარული სახეც გემახსოვრებათ... ამ აშკარად ანტიქართულმა გადაწყვეტილებამ ქართული ქუჩური ოპოზიციის დაუფარავი აღფრთოვანება გამოიწვია – ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ევროკავშირის ელჩი და თვით დიდი მეთიუ მილერიც კი თუ მთლად ჩემი ხაზესი არა, თინა ბოკუჩავას, ნიკა მელიას და ნიკა გვარამიას ჭკუაზე დადის!

**სენატორი მეთიუ მილერი** კარგადაა ცნობილი საქართველოს ყველა მეტ-ნაკლებად მოაზროვნე მოქალაქისთვის და მასზე ლაპარაკიც არ ღირს. ან რა უნდა ითქვას ადამიანზე, ვინც ქართველთა მაგინებელ გვარამიას ეძმაკაცება, ქართველთა გამყიდველ კეზერაშვილისგან ქრთამებს იღებს და... კორუფციის მავნებლობაზე ლექციებს გვიკითხავს.

არ გეგონოთ, **სენატორ ჯო უილსონის** ქართველი ხალხის წინაშე „დამსახურებებზე“ თვალს ვხუჭავდე – უბრალოდ, მეჩვენება, რომ იგი მეთიუ მილერის მითითებებით მოქმედებს.

* * *

**ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენი საზოგადოებისთვის კარგა ხანია ავად ცნობილი ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის მორიგი ანტიქართული განცხადების შესახებ.**

კაცმა რომ თქვას, ახალი არაფერია – **ბატონმა ჰერჩინსკიმ** კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ საქართველოში მძვინვარებს დიქტატურა, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. აქედან კი გამოსავალი ერთადერთია – ახალი საპარლამენტო არჩევნები და არსებულის ნაცვლად ხელისუფლებაში კოლექტიური ხაზეს აღზევება. არ უთქვამს, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ კოლექტიური ხაზეს ან სალო-ბაზოს ახალი ქართული ხელისუფლება პირადად ბატონი ჰერჩინსკის ან, თუნდაც, ვინმე გაევროპაამერიკელებული კეზერაშვილის მითითებებით იმოქმედებს.

იმედია, არ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრების“ ამ ბოლოდროინდელმა განცხადებებმა, უფრო ზუსტად, ძველი და კარგად ცნობილი განცხადებების კიდევ ერთხელ გამეორებამ, ქართული საბოლოოდ გამოქუჩურებული ოპოზიციის მორიგი ყალბი აღფრთოვანება გამოიწვია. ძნელი სარწმუნოა, თუნდაც რეჟისორ დოიაშვილის და მომღერალ ბურჭულაძის დონის „პოლიტიკოსებმა“ არ იცოდნენ, რომ გადაწყვეტილებებს უცხო ქვეყნების მოქალაქეთა დასანქცირებაზე იღებს უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ხოლო საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე – უშუალოდ საქართველოს ხელისუფლება.

ასე რომ, ქართული ქუჩური ოპოზიციის ყალბი აღფრთოვანება „მეგობარი“ დასავლეთის გადაწყვეტილების გამო, არაფერია, საკუთარი უმწეობის გადაფარვის ასევე უმწეო მცდელობის გარდა.

თუმცა, არის ერთი გაუგებრობა, რაც უკვე კარგა ხანია, ასე აწუხებს მოაზროვნე ქართველ საზოგადოებას და რაზეც ლაპარაკი ნამდვილად ღირს. ახალი არაფერია.

**უცნაური, უჩვეულო და შემაშფოთებელიც სწორედ ის გახლავთ, რომ ახალი მართლაც არაფერია და ეს კითხვა უკვე დიდი ხანია ითხოვს პასუხს. კერძოდ, რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან, აშშ-თან ურთიერთობების დასალაგებლად, ამ ქვეყნების ხელისუფლებებისთვის ქართული სინამდვილის გასაცნობად.**

ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეთი მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ამის თაობაზე საქართველოს მოქალაქეებმა, მათ შორის – ხელისუფლების უანგარო მხარდამჭერებმა – არაფერი იციან. გთხოვთ, სწორად გამიგოთ – დიახ, საქართველოს მოქალაქეები თითქმის ყოველდღიურად ვისმენთ ქართული ხელისუფლების წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და თუნდაც, ჟურნალისტების კომენტარებს და განმარტებებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება უცხოელ კოლეგებთან ქართველი დამსმენ-ავანტიურისტების ბინძური სიცრუეების გასანეიტრალებლად და სიმართლეში მათ დასარწმუნებლად. და ეს უნდა ვიცოდეთ უშუალოდ ხელისუფლებისგან, დასაბუთებული არგუმენტების მოშველიებით.

სამწუხაროდ, ეს არ გახლავთ ვიღაც ჟურნალისტის აკვიატება – ეს არის ყოვლად ჩვეულებრივი აუცილებლობა, გნებავთ, ელემენტარული პატივისცემა საკუთარი მოქალაქეების, მხარდამჭერების წინაშე. მესმის, რომ სავარაუდოდ, ხელისუფლებას ყველა წვრილმანის თქმა არ შეუძლია, მაგრამ ამას არც არავინ ითხოვს – საუბარია, ზოგადად, იმ ქმედებებზე, რასაც ხელისუფლება უცხოელ კოლეგებთან სიმართლის გარკვევისთვის ეწევა.

**ბოლოს და ბოლოს, საქართველო არ არის მხოლოდ ხაბე, ხაზარაძე, გვარამია, ხოშტარია, ელისაშვილი ან შიშველ უკანალებზე მომღერალი ვინმე „რეჟისორი“ – საქართველოში ბევრი მაღალ დონეზე მოაზროვნე უანგარო ადამიანი ცხოვრობს და მათი შესაძლებლობების ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს.**

რაც მთავარია, იქნებ ხელისუფლებამ გაგვაგებინოს, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ასე დაუსჯელად ინავარდოს ქვეყნის დამსმენ-მოღალატეთა ბანდამ, ერიც და სამშობლოც ფეხებზე რომ ჰკიდია და დანაშაულებრივი გზებით ნაშოვნი მილიონებით აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ეწევა!?

**და კიდევ ერთი უბრალო ჭეშმარიტება, რასაც ზემოთქმულთან უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ კარგი იქნება, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს – ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მოაზროვნე მოქალაქისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ვინმე რიგითი მოქალაქის აზრი, ვიდრე თუნდაც გენიალურად მოაზროვნე პოლიტიკოსისა.**

**თეიმურაზ ქორიძე.**

11. 05. 2025









**იქნებ ხელისუფლებამ გაგვაგებინოს, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ასე დაუსჯელად ინავარდოს ქვეყნის დამსმენ-მოღალატეთა ბანდამ, ერიც და სამშობლოც ფეხებზე რომ ჰკიდია და დანაშაულებრივი გზებით ნაშოვნი მილიონებით აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ეწევა!?**

სიტყვა „რუსეთუმეს“

# რატომ ვაგვიანებთ რუსეთთან დიალოგს?!




**„საქართველოს არ უცდია პირდაპირი დიალოგი რუსეთთან... ერთადერთი, ვინც ეწინააღმდეგება ჩვენი ურთიერთობის დალაგებას, დიფსთეითია“,** – წერდა სოციალურ ქსელში მოძრაობა **„ნეიტრალური საქართველოს“** თანადამფუძნებელი, ცნობილი დისიდენტი და უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე.**

ამჯერად ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, ვინ ეწინააღმდეგება საქართველოს ურთიერთობის დალაგებას რუსეთთან (ასეთი დაბრკოლებები თითქმის ყოველთვის იყო საქართველოს ისტორიაში), არამედ მაგულისყურებს ის, რომ **„საქართველოს არ უცდია პირდაპირი დიალოგი რუსეთთან“.**

**ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ?**

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო დამოუკიდებელია და, მითუმეტეს, იმასაც ვაყოლებთ, რომ უკვე ნელ-ნელა ქვეყანა სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადგა, რატომ დავკარგეთ ეს 2 წელი?

**მითუმეტეს, რუსეთთან დიალოგის დაწყება, ურომლისოდაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოუდგენელია, არ ნიშნავს ერთმნიშვნელოვნად საქართველოს რუსულ პოლიტიკურ ორბიტაზე გადასვლას და რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადაქცევას – რუსეთს არც სჭირდება საქართველოს საკუთარ ზურგზე მოკიდება, მას ისედაც გააჩნია საკმარისი ბერკეტები ჩვენს „მოსათვინიერებლად“ და აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი გავლენის გავრცელებასაც მოახერხებს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, საქართველოსთან არც ზედმეტად მტრული ურთიერთობა აწყობს!**

**საქართველო მომავალში მსოფლიოს სამი მოთამაშის – რუსეთის, ჩინეთისა და ამერიკის თანაბარი ინტერესების პოლიგონად იქცევა, რაც სწორედ მის ნეიტრალურობას განსაზღვრავს!**

ზედმეტად მიმაჩნია იმის შეხსენებაც, თუ რა წინაპირობები უძღოდა წინ რუსეთის მხრიდან საქართველოს ძირძველი ტერიტორიების ოკუპაციას და ვინ იდგა ამ ავანტიურის მიღმა, მაგრამ ერთ არსებით მომენტს აუცილებლად გავუსვამ ხაზს – **ვინც ამ ავანტიურის პროვოცირებას შეუწყო ხელი, სწორედ ის უშლის დღესაც ხელს რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყებას. თუ მაშინ პროვოკატორად დასავლეთი (ამერიკა) მიგვაჩნდა, გამოდის, რომ დღევანდელი გაგებით დიფსთეითი ყოფილა. ეს სწორედ ის დიფსთეითია, რომელსაც „ომი“ გამოუცხადა დღევანდელმა ხელისუფლებამ და პირობა დადო, რომ იზრუნებდა საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებაზე!** სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცება კი, ყველა ჯანსაღი ქართველისთვის სანუკვარი ოცნების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს იურისდიქციაში მოქცევის გარეშე შეუძლებელია!

მაშ, რატომ აგვიანებს ხელისუფლება დიალოგის დაწყებას რუსეთთან, მითუმეტეს მაშინ, როცა დიალოგის ინიციატივა თავად რუსეთისგან მოდის (მხედველობაში მაქვს რუსეთის ოფიციალური პირების, **სერგეი ლავროვის** და **ანა ზახაროვას** განცხადებები, თავად პრეზიდენტ **პუტინის** მინიშნებებიც)?

დღეს, როცა დღის წესრიგშია მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება, ბუნებრივია, პოლიტიკური ორიენტაციის მყისიერი შეცვლა მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ რუსეთთან დიალოგს რომ ალტერნატივა არ გააჩნია, ესეც ფაქტია – **რუსეთმა ჩვენგან უნდა მიიღოს მყარი გარანტიები, რომ საქართველო საბოლოოდ უარს იტყვის ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციაზე** (განსაკუთრებით, ნატოში). ამისთვის კი აუცილებელია კონსტიტუციიდან იმ ავადსახსენებელი 78-ე მუხლის ამოღება, რომელიც თავის დროზე დასავლეთის ერთგულების დასამტკიცებლად შეიტანეს, თურმე!

**მესმის, არც ისე ადვილია დასავლეთის კოლონიური მდგომარეობიდან თავის დაღწევა, მაგრამ, თუ პირველი ნაბიჯები დროზე არ გადავდგით, დაგვიანებამ, შესაძლოა, ჩვენთვის კაბალურ ვითარებამდე მიგვიყვანოს!!!**

ვეთანხმები ქ-6 **ნანა კაკაბაძეს,** რომ **„დიალოგი მოითხოვს გონივრულ პოლიტიკას ხელისუფლებისგან და პატრიოტიზმს“,** მაგრამ, როცა სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცების დეკლარირებას აკეთებ, ერთისთვისაც უნდა იყო მზად და მეორისთვისაც! რაც მთავარია, ასეთი სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებისას, ფარად და მახვილად საკუთარი ხალხი უნდა დაიგულო – არადა, ფაქტია, რომ მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი აშკარად მიესალმება რუსეთთან დიალოგის დაწყებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით და არა საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევას, როგორც ამას ე.წ. მე-5 კოლონა გვიკიჟინებს!

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, **რა სავალალო შედეგები მოჰყვა საქართველოს გასვლას რუსეთის ორბიტიდან (უპირველესად, თავსმოხვეულ ომს და დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას ვგულისხმობ), რა დაუჯდა ქვეყანას ყალბად გაგებული ე.წ. დასავლური დემოკრატია, რომელსაც ერის ეკონომიკური და სულიერი დაკნინება მოჰყვა. მეტიც, ქვეყანა დაიშალა დაპირისპირებულ ჯგუფებად, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის ფიზიკურ არსებობასაც კი. არაფერს ვამბობ, ჯანსაღი ეროვნული ფასეულობების რევიზიაზე.**

**დასკვნა მარტივია:** საჩქაროდ დასაწყებია დიალოგი რუსეთთან, ამასთან, აუცილებელია ნიადაგის მომზადება საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გადაქცევისთვის! როგორც ამ დღეებში ერთმა პროფესიონალმა ქართველმა დიპლომატმა მრავალმნიშვნელოვნად მითხრა: **საქართველო მომავალში მსოფლიოს სამი მოთამაშის – რუსეთის, ჩინეთისა და ამერიკის თანაბარი ინტერესების პოლიგონად იქცევა, რაც სწორედ მის ნეიტრალურობას განსაზღვრავს!**

P.S. ნათქვამია: **„ვინც არ რისკავს, ის შამპანურსაც არ სვამს“-ო.** გონივრული რისკი აუცილებელია, რომ მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ!



**ზაურ ნაჭყებია,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

შავი იუმორი

# რუსისტები, ევროლოველები

**„ყველაფერი სასაცილო ბოლოში სატირალი უფროა, თუ კარგად ჩავუკვირდებით“.**

**ნ. გოგოლი**



**9 მაისს მეც გადავწყვიტე დღესასწაულზე წასვლა!**

**მშვენიერი ამინდი იყო და თბილისის ქუჩებში გამოსულ ხალხს ასიოდე ქრონიკული ოპოზიციონერი გამოჰყვა.**

**თუმცა, ამინდი ოპო-ებს ხელს არ უშლის; ესენი ხომ ისე არიან, ქათამმა რომ თქვა, ძროხა დაკლეს, მე წამაკლეს, ცხვარი დაკლეს, მე წამაკლესო?! ოღონდ სადმე ხალხმრავლობა იყოს, მაშინვე იქ გაჩნდებიან და ატეხავენ კრუსუნ-კრიახს. კრუსუნი წამომცდა, მაგრამ, არა შემთხვევით. უკვე რამდენი ხანია თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე იმდენი გეი, ლესბი და მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანი დგას, რომ შთაბეჭდილება დაგრჩება, აქციები პოლიტიკური კი არა, უკანალმოქავებულთა პროტესტი იყოს...**

**ხალხში რომ ქათმებს უწოდებენ, აი, ისეთები რომ აქტიურობენ აქციებზე, ამიტომაც არის ევროპა სახელშებღალული ჩვენში, თორემ ევროპის დიდ ოჯახში ჩვენც თუ ვიქნებით, მაგას რა აჯობებს?!**

9 მაისს ფაშისტების წინააღმდეგ ომში გამარჯვებულ რუსეთში ხომ ჩატარდა სამხედრო აღლუმი, თბილისის ქუჩებშიც ჩატარდა სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალთა მსვლელობა – მელიისტების – ცალკე, გვარამისტების და ნანუკისტების – ცალკე, თავისუფალი ფორვარდების, ანუ ღამე სახლში წასვლა რომ ეზარებათ, ისეთების – ცალკე, გამჩხერების და ტაბლეტების მყლაპავების – ცალკე, ქოცების – ცალკე, ნაცების – ცალკე.

ჩემი მეზობელიც წავიდა აქციაზე, მერე ტელევიზორშიც მოვკარი თვალი, ვიღაცებს ეძიძგილავებოდა. მარტოხელა კაცია ჩემი მეზობელი, ბერბიჭას რომ ეძახიან, ისეთი. ერთხელ მითხრა, სახლში მარტო ყოფნა მეზარება და რუსთაველზე აქციაზე დავდივარ ყოველ საღამოს, რა ვქნა სხვა, იქ ახალ ამბებსაც ვიგებ და ვერთობი კიდევაცო!..

ჯიბეგაფხეკილია ჩემი მეზობელი, მაგრამ მაინც უანგაროდ დადის შეკრებებზე. არადა, ზოგი ამბობს, აქციებზე ოპოებს 200 ლარს არიგებენო, ზოგს 150-ს აძლევენ და ზოგსაც – 50 ლარსო. თუმცა იქაც ჩაწყობა ყოფილა. ფული ყველაზე არაა გათვლილი, ზოგს ჩუქნიან, ზოგს – არა! რაც დარჩება, ნანუკას ლობიანებში მიდის, ანდა ლიაკას კონიაკისთვის, ან მელიას გასასუქებლად, ოღონდ წელს ქვემოთ.

**– მიშა, მიშა, ისმოდა აქციაზე ძახილი შორიდან, ხალხის ტალღებს შორის.**

**– თქვენ გთხლიშათ მიშამ, – დაიძახა ერთმა, რომელიც ნაქოცარი იყო, უეჭველად.**






## მამუკა არეშიძე:

# კონფედერაცია ჩვენთვის დამღუპველი იქნება

**საქართველოს ხელისუფლებასთან ვაჭრობის საგანი, შესაძლოა, მოსკოვის მხრიდან სერიოზული დათმობები იყოს...**

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** for.ge-თან ამბობს, რომ პირიქით, ხელისუფლებას საკმაოდ პრინციპული პოზიცია უკავია – მოსკოვს სურს საქართველოსთან ურთიერთობების გადახედვა, მაგრამ ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე, რაზეც თბილისი არ მიდის. არადა რუსეთის მხრიდან კონფედერაციაზე საუბარი ნამდვილად დაწყებული იყო.

**ვლადიმერ პუტინი** კრემლში ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტს **ბადრა გუნბას** შეხვდა, რომელიც მოსკოვში 9 მაისის ღონისძიებას დაესწრო. შეხვედრისას პუტინმა თქვა, რომ რუსეთი მზადაა, გააგრძელოს თანამშრომლობა აფხაზეთთან როგორც ეკონომიკურ, ასევე ჰუმანიტარულ სფეროებში. თავის მხრივ, ოკუპირებული აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა ლიდერმა რუსეთის პრეზიდენტი აფხაზეთში დაპატიჟა, რაზეც პუტინისგან მიწვევაზე თანხმობა მიიღო.

**„ვისარგებლებ შემთხვევით, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, მინდა, მოგიწვიოთ ჩემი სახელით, აფხაზი ხალხის სახელით, ჩვენს რესპუბლიკაში თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს. ჩვენ გულწრფელად ველით თქვენს ნახვას და ვიმედოვნებთ, რომ მიიღებთ ამ მოწვევას“,** – თქვა **გუნბამ.**

ცნობილია, რომ პუტინი შეხვდა ოკუპირებული ცხინვალის რეჟიმის ე.წ. ლიდერსაც.

**ალან გაგლოევს** ის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკაში, ჯანდაცვასა და განათლებაში დახმარებას დაჰპირდა.

მამუკა არეშიძე for.ge-თან ამბობს, რომ პუტინის შეხვედრა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის პრეზიდენტებთან ძალის დემონსტრირება იყო. ამით აფხაზებს უთხრა, რომ გუნბა ცალსახად რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ლიდერია.

**„პუტინმა გუნბა განსაკუთრებით გამოყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერისგან განსხვავებით. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ლიდერთან განსაკუთრებით ცუდი ურთიერთობა აქვთ ჩამოყალიბებული. ხაზგასმით აღნიშნავს კრემლი, რომ გუნბა არის კრემლისგან მხარდაჭერილი ლიდერი. ეს კი რამდენიმე გარემოების გამო ხდება. პირველი, ეს შესაძლოა შიდა მოხმარების თვალსაზრისით ხდებოდეს და ამის მიზეზი აფხაზური საზოგადოებისთვის მიცემული ნიშანია, რომ გუნბა ბოლომდე მხარდაჭერილი იქნება, ხოლო ის პროექტები, რომელიც კრემლისთვის და რუსეთისთვის აუცილებელია, რეალიზაცია მაინც მოხდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნბას წინამორბედი, რომლის გუნდის წევრიც ასევე გუნბა იყო, ამ პროექტებზე თანახმა იყო. რაც შეეხება საგარეო მოხმარებას, ეს არის ვაჭრობის თემაც, რადგან პუტინი წინასწარ თვლის, რომ არ არის გამორიცხული, აფხაზეთი დასავლეთთან სავაჭრო თემაც გახდეს. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ აფხაზეთი შავიზღვისპირეთია და რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს, თავისი მდგომარეობა შავ ზღვაზე განამტკიცოს. ეს ეხება ყირიმის და აფხაზეთის საკითხს. ამ შემთხვევაში აფხაზეთი შავი ზღვის კონტექსტში უნდა განვიხილოთ და არა როგორც ოკუპირებული ტერიტორია“,** – ამბობს **არეშიძე.**



მისივე თქმით, ახლა აფხაზეთს ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რათა რუსეთმა მისი შენახვის და მასში რესურსის ჩადების აზრი დაინახოს.

**„სამწუხაროდ, კრემლის გადასახედიდან შევხედოთ, ის თავის საზღვრების პერიმეტრში ნების გატანას, ასე თუ ისე, ახერხებს და თუ სადმე ამას ვერ ახერხებს, აფხაზეთია მათ შორის. ვხედავთ, ბელარუსი ფეხქვეშ როგორ ჰყავს ამოდებული. ხოლო ამ პატარა აფხაზეთის საკითხის მოგვარებას ისე, როგორც თავად უნდა, ვერ ახერხებს. ეს მის რენომეზე და პრესტიჟზე ძალიან ცუდად მოქმედებს. რაც შეეხება აფხაზეთის ათვისების პროცესს, ეს სამხედრო თვალსაზრისით, კრემლისთვის მშვენივრად მიდის, ხოლო პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, ბევრ რამეში იჭედება. აფხაზეთი დღეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ისე პოზიციონირებს. ეს ე.წ. დამოუკიდებლობის პოზიცია მათ უკავიათ, როგორც მთელს მსოფლიოსთან, ასევე რუსეთთან. მოსკოვში კი აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ითვლება. ქაღალდზე რა წერია ერთია და რეალურად როგორ აღიქვამენ რუსეთში, ეს მეორეა. კრემლში ეს არის მიწის ნაკეთი, სივრცე, რომელსაც მთლიანად რუსულ დოტაციაზე და რუსული ქოლგის ქვეშ იღებენ, ამიტომ მათი გაგებით ის დამოუკიდებელი ვერ იქნება“,** – ამბობს **არეშიძე.**

რაც შეეხება იმას, რა სახის გზავნილია ეს თბილისისთვის და როგორ უნდა წაიკითხოს ის საქართველოს ხელისუფლებამ, კონფლიქტოლოგი ამბობს, რომ, როცა მან სიტყვა ვაჭრობა ახსენა, ამ შემთხვევაში, საქართველოსთან ვაჭრობაც იგულისხმა.

**„მოსკოვს გეგმები აქვს, რომ სამხრეთ კავკასიასთან და მათ შორის თბილისთანაც დამოკიდებულება შეცვალოს. ამ შემთხვევაში მისი გეგმების გადახედვაც შედის. აქ ოკუპირებული ტერიტორიები იგულისხმება. მოსკოვის პრესტიჟისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ის ოკუპანტ ქვეყნად არ ითვლებოდეს. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებასთან ვაჭრობის საგანი, შესაძლოა, მოსკოვის მხრიდან სერიოზული დათმობები იყოს, რომელიც თანხვედრაში იქნება საქართველოს მხრიდან დათმობებთან. რა ტიპის დათმობებია, ეს შორს წაგვიყვანს.**

**უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლება ცოცხალი თავით არ თმობს, არ იღებს ამ ტიპის გადაწყვეტილებას. „ოცნების“ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა დეოკუპაცია. იქ მეორე თემა ამოტივტივდა, რომელიც აფხაზეთის რკინიგზასთან იყო დაკავშირებული, ეს მოსკოვს ძალიან სჭირდებოდა. მას ეს ჩრდილოეთ-სამხრეთის სავაჭრო კორიდორად უნდოდა, მარტო აზერბაიჯანზე რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული.**

**ამიტომ საქართველოს სჭირდება სხვა ტიპის ხელმძღვანელები, რომელიც მის ამბიციურ გეგმებს გაითვალისწინებს, თუ მოსკოვს „დაუწვება“, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ კრემლი დათმობაზეც წავიდეს. თუმცა დღეს რუსეთი არ არის მზად, რომ კონფედერაციის იქით წავიდეს. ეს კი თბილისისთვის მიუღებელია. კონფედერაციის თემა, პრაქტიკულად, უკვე დაძრული იყო. საქართველოს ხელისუფლების ერთი გამოსავალი არის ის, რომ დატოვოს ის სტატუს-კვო რაც არის. ჩვენთვის აფხაზეთის კონფედერაციის შემოთავაზება და მიღება აბსოლუტურად დამღუპველია. ეს პრობლემებს შეგვიქმნის და არაფერს არ გვაძლევს“,** – ამბობს **არეშიძე.**

**რა ჩაიფიქრა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით? რა გზავნილია თბილისისთვის აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტებთან შეხვედრა?**

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

# და „მიშაში ჩარჩენილები“

**– კი სჭირდებათ მაგათ ერთი თხლაშები, ეგება, გამოფხიზლდნენ, მაგრამ ვინაა პატრონი? – მიუგო მეორე მომიტინგემ, რომელიც, სავარაუდოდ, ნეიტრალურ პოზიციაზე იყო, მაგრამ ფაშიზმზე გამარჯვებას ქედუხრელად უჭერდა მხარს.**

იქით ვიღაც ყვიროდა: აქ ევროპის აქციაა, მიშას ნუ ახსნებთო; მეორემ მიშა და ევროპა რამ გაყოო, მესამეს, ხელში „თავისუფლება მიშას“ წარწერიანი ბანერი რომ ეჭირა, ისე საცოდავად გამოიყურებოდა, ცოტა რომ აპატიო (რომ მოუარო, იზრუნო), ისე გამოიბესკვნება, სულ ერთი იქნება მისთვის მიშაც, დასავლური თავისუფლებაც და არც იმას იდარდებს დიდად, ევროპაში შევა თუ ჩოხატაურში.

**ამასობაში ერთი გოგო გამოვარდა წივილით: – ფაშიზმია საქართველოშიო.**

**ფაშიზმი რომ იყოს, შენ მართლა ბატო, ახლა შენ მანდ იქნებოდი-მეთქი? – გავიფიქრე და ის იყო, იქაურობას უნდა გავცლოდი, ფიქრია ჩიხრაძეს მოვკარი თვალი. ბრაზსა და გაწიწმატებას თავშეკავებულად ფარავდა და ვიღაც რეპორტიორმა პაწია გოგონამ მიკროფონი რომ ცხვირწინ ცხელი შამფურივით მიუტრიალა, ერთი კი შეკრთა ქალბატონი, მაგრამ, ევროპა მინდა მე, პრინციპის საკითხიაო, – უპასუხა.**

მეხსიერებას რა ვუთხარი; ფიქროს ევროპა უნდა, მაგრამ ზვიად გამსახურდია და ეროვნული მთავრობა არ უნდოდა, 90-იანებში იმ ხალხს უჭერდა მხარს, იარაღით რომ დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას და პრეზიდენტს თვითონ და მისი სამეგობრო, კგბ-ს აგენტურა – „ჭუტალა“ გიგა ბოკერიას, გია ბარამიძის, მამა-შვილ გაბაშვილების მსგავსთა შემადგენლობით.

მართლა დიდ სტალინს გაუმარჯოს, ამ დღეს ოპოზიციაც, პოზიციაც და ნეიტრალური ადამიანები, ყველა რომ ქუჩაში გამოიყვანა, თუმცა ყველაზე გასაკვირი ის არის, ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავ ბანერებზე მეტი მიშას სურათები და ევროპის მოთხოვნა რომ იყო...

ამ რია-რიაში, მოსალოდნელიც იყო და მუშტი-კრივი დასცხეს კიდევაც ერთმანეთს. მიშა და ევროპა ერთიაო, მიშას გაუმარჯოს, თავისუფლება მიშასო, მიშას პლუს ევროპა უდრის თავისუფლებასო, – აყვირდნენ უცებ საიდანღაც გამოჩენილი ზურგჩანთიანი ტიპები და ერთმანეთს დაუწყეს ძიძგილაობა.

**– შენო, აქო, მიშას ბანერის გამოტანის უფლება ვინ მოგცა, ეს ჩვენი პრივილეგიააო და, მივარდნენ ერთ გულანთებულ ჩია ტანის კაცს, სააკაშვილის თავისუფლებას რომ მოითხოვდა.**






პოლიცია კი მივიდა, მაგრამ რას გაარკვევდა, როცა თავადაც ვერ გარკვეულიყვნენ, ვინ ვისი მომხრე იყო, ევროპის თუ მიშას თავისუფლების. ერთი სააკაშვილის სურათს რომ ებღაუჭებოდა, მეორე მიშას ფოტოს ხევდა, მესამე გულზე მჯიღს იბაგუნებდა – დედას ვფიცავარ, თუ ევროპაში არ შევიდეო.

**რა რუსეთი, რის რუსეთი და ომში დაღუპულები, თუ ძმა ხარ, ვის ახსოვდა იმ დღეს რუსეთი, პუტინი, ლავროვი, მამუკა ფიფიას და ათიოდე ავანტიურისტის გარდა?!**

ესენი ჩრდილოეთიდან ამომავალი მზის მომლოდინენი, ისინი – ევროპის მნატვრელნი, კიდევ სხვები – მიშაში „ჩარჩენილები“, ანუ როგორც ჩვენში უწოდებენ, მიშაღოველები.

**ყველაზე ძალიან რა მიკვირს, იცით? 22 წლის წინ გამოჩნდა სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში, 22 წელიწადში მიშასა და მის ცოლებს შორის სიყვარული გაცივდა და ამათ რა სჭირთ, მიშასადმი მიჯნურობა უფრო და უფრო რომ უმძაფრდებათ?**

**ეგება, გამოლოცვა სჭირდებათ, ან ვინმე კაი ცხვირზე მეჭეჭიანი კუდიანი, ჩასცხოს კომბალი და გამოუდევნოს თავიდან წვეტიანი აზრები-მეთქი, მაგრამ ამასობაში დიდუბის ტაძარს მივუახლოვდი, ღვთისმშობელს შევავედრე საქართველო და საკუთარი თავი და... წამოვედი.**

**ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი და ორივეს – საქართველო!**

**გიორგი გორგიჯანელი**



სანამ ერეკლე მეფე თავის სამეფოს რუსეთს შეუერთებ-და, უფალს ევედრა:
**„მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!“**

# „ციკლოპი“ გამოსავლის ძებნაში


ოდილიონ რედონი – „ციკლოპი“

**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული მტრული რეზოლუციის შემდეგ, საქართველოში მხოლოდ იმის იმედიღა დაგვრჩენია, რომ „პრეზიდენტი ტრამპი ამ რეზოლუციას ხელს არ მოაწერს“.**

შექმნილი ვითარება მახსენებს ოდილიონ რედონის (1840-1916) ერთ უცნაურ სურათს, რომელსაც „ციკლოპი“ ეწოდება. ფრანგმა მხატვარმა „ციკლოპით“ შექმნა სურათი, რომელიც თავისი ამბივალენტურობით მაყურებელს უტოვებს შესაძლებლობას, საბოლოოდ თავად განმარტოს იგი. ერთი თვალის მქონე მოყვითალო-მოყავისფრო ურჩხულში, რომელიც კლდისმაგვარი ბალუსტრადიდან იმზირება, საბოლოოდ ვეღარ გებულობ, მისი თვალი ნიჟარაში ბრილიანტივით მოქცეულ ტიტველ ქალზეა მიმართული, რომელსაც იგი დარაჯობს და იმავდროულად მისი ფლობა სურს, თუ მაყურებელზე.

ო, სიტუაცია მალე ირკვევა და თურმე ურჩხულის თვალი მხოლოდ შენ გიმზერს, მაყურებელო, და სანამ შენს შესასანსლად დაიძვრება, თავს უშველე!

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ურჩხულის თავი დონალდ ტრამპის ვეებერთელა, ჟღალთმიანი თავია, რომელიც შენს შესაჭმელად უკვე დაიძრა, ანუ „პროვოკაციულ რეზოლუციას პრეზიდენტმა უკვე ხელი მოაწერა“. თავს ვის აფარებს ამ შემთხვევაში, ბედშავი საქართველო? ნუთუ „ევროკავშირს“? – ეს ხომ სასაცილოა!

სანამ ერეკლე მეფე თავის სამეფოს რუსეთს შეუერთებდა, უფალს ევედრა:

**„მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!“**

ვინც მეფის ამ გადაწყვეტილებას თვითნებურ განწყობას მიაწერს, ძალზე შეცდება, რადგან გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა საშინელი გამოცდილება.

„ერეკლეს 150 მხედარიღა დარჩა, იგი ბრძოლას თავს მაინც არ ანებებდა. და მხოლოდ შვილიშვილებმა ძალისძალად მოაშორეს ხელჩართულ სისხლის ღვრას. როცა ავლაბრის ხიდზე შედგნენ, რათა ბრძოლის ველისთვის გაეცილებინათ გმირი მოხუცი მეფე, ერეკლემ ცხენი შეაჩერა და უკან სისხლით მორწყულ ქართველთა სანგრები და თანამებრძოლთა გვამები რომ დაინახა, უცებ ცხენი მოატრიალა, რათა კვლავ ბრძოლაში შეჭრილიყო – რომ მივდივარ, სად მივდივარ, როცა ჩემი ქართველები აქ იხოცებიანო. მაშინ, ივანე მუხრანის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის ჭილავს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთი მხრივ ბატონიშვილი ალმასხან (იგივე ვახტანგ) მივარდა, მეორე მხრით ბატონიშვილი იოვანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაკრა და საჩქაროდ გაარბენინეს საცოდავი ერეკლე“ (საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ. 2012, გვ. 475-476).

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ, როდესაც ეს წავიკითხე – ვიტირე. ვიტირე ისევე, როდესაც ავგუსტინეს „აღსარებაში“ ამოვიკითხე ეს სიტყვები: „მოუსვენრად არის გული ჩვენი, უფალო, სანამ საბოლოო სიმშვიდეს არ პოვებს შენში“.

**როგორი იყო XIX საუკუნე საქართველოსთვის? „მთელი კახეთი, ვიდრე შამილს დაიჭერდნენ გუნიბში, ლეკების სანავარდო მოედანი იყო“ (ვაჟა-ფშაველა, „ჩვენი დალაჩრება“). ამას ისიც დაუმატეთ, თუ როგორ ამოწყვიტეს ლეკებმა გერები დავით-გარეჯში. ამას ასევე ისიც დაუმატეთ, რომ საბოლოოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს აიკრძალა დასავლეთ საქართველოში ისეთი გავრცელებული მოვლენა, რასაც ოსმალოებზე საკუთარი თვისტომის გაყიდვა ეწოდება.**

**დასავლეთის ერთობლივი შემოტევის დროს გამოსავალი მხოლოდ ერთია: ორიენტაციის აღება ისევ ერთმორწმუნე რუსეთზე!**



**ვიქტორ რჩხილაძე**

# ინფლაცია მაღლა მიიწევს, ეროვნული ბანკი მიდგომას ვეღარ შეამსუბუქებს!!!



**მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების შესაძლებლობა უკვე აღარ არსებობს. წლის დარჩენილ პერიოდში ამჟამინდელზე უფრო მაღალი ინფლაციაა მოსალოდნელი, შესაბამისად, ეროვნული ბანკი მკაცრ მიდგომას შეინარჩუნებს. ფინანსისტებიც ამჟერად სებ-ის პოზიციას სრულიად იზიარებენ.**

**რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი კვლავ 8%-ზე დატოვა. სებ-ი წელს 3.8%-იან ინფლაციას პროგნოზირებს, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკა წლის განმავლობაში მკაცრი იქნება. ფასების ზრდის უფრო მაღალ ტემპს მოელიან ანალიტიკური ორგანიზაციები და ეკონომისტები.**

როგორც „გალტ ენდ თაგარტის“ ანალიტიკოსმა **ლაშა ქავთარაძემ** განაცხადა, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ფასების ზრდის დონე 4-5%-მდე დაჩქარდება.

**„ჩვენი პროგნოზი იყო, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად დარჩებოდა 7 მაისის სხდომაზე და ასევე ჩვენი პროგნოზია, რომ მთელი წლის განმავლობაში ის უცვლელი – 8%-ის დონეზე შენარჩუნდება. ამის არგუმენტი ისაა, რომ წელს ინფლაცია მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება – დაახლოებით 3.7%. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ კი 2025 წლის პირველ ოთხ თვეში ინფლაცია მაინც დაბალ ნიშნულზეა, მომდევნო თვეებში ის უნდა გაიზარდოს და მესამე კვარტალში ველოდებით, რომ მისი მაჩვენებელი 4-5%-ის ფარგლებში იქნება.**



**აქ რამდენიმე ფაქტორია საყურადღებო. აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისიდან ადგილობრივი ინფლაცია მატებაშია, მათ შორის, მარტიდან ხორბლის პური გაძვირდა. საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასებიც მზარდია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფაქტორი ჩვენც გადმოგვეცემა, თუმცა მას გარკვეულწილად ანეიტრალებს ის, რომ დოლარი შესუსტებულია და ამ ფაქტორის გამო ლარი გამყარებულია“**, – განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ **ქავთარაძემ** და დასძინა, რომ **2026 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში იქნება, რაც სებ-ს საშუალებას მისცემს, რეფინანსირების განაკვეთი შეამციროს.**

როგორც საქართველოს საბანკო ასოციაციის ანალიტიკურმა დირექტორმა **დავით რუსიამ** განაცხადა, ეროვნული ბანკის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ ამ წლის განმავლობაში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს რეფინანსირების განაკვეთი, თანატოლია.

**„ვერ დავინახეთ, რომ სებ-ი რაიმე გადაწყვეტილებას გაზრდის ან შემცირების მიმართულებით წლის პირველ ნახევარში მიიღებს. ამ ეტაპზე საქართველოში მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას არ ვპროგნოზირებთ. ინფლაცია 3.4%-ია მიმდინარე ეტაპზე და თავად ეროვნული ბანკი 3.8%-მდე ელოდება წლიურ მაჩვენებელს. აქ გავიხსენებ სავალუტო ფონდის პროგნოზს, რომელიც 3.6%-იან ინფლაციას და 6%-იან ეკონომიკურ ზრდას მოელის“**, – განაცხადა **დავით რუსიამ.**





ანალიტიკოსი, კაპიტალის ბაზრის ექსპერტი **მარინა გულედანი** კი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, უცვლელად, 8 პროცენტზე დატოვა, მოსალოდნელი იყო. დღესდღეობით ცენტრალურ ბანკს ფასების ზრდის წნეხის გამო მისი შემცირების შესაძლებლობა არა აქვს.

**„არც არავის გაუკვირდა, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი იგივე დარჩა. იმ პირობებში, რაც საქართველოშია, სასურველი იქნებოდა, ეს განაკვეთი ჩამოიწიოს, მაგრამ ჩვენ იმპორტირებული ინფლაციის წნეხი გვაქვს და ეროვნულ ბანკს ეს ფუფუნება არა აქვს, რომ განაკვეთი ჩამოსწიოს. გაურკვევლობიდან გამომდინარე ეროვნული ბანკი მუდმივად მზად უნდა იყოს, გარე გავლენებსაც გაუმკლავდეს და მონეტარულ პოლიტიკაში გამოხატოს ის პოზიცია, რომელიც ფინანსურ და ფასების სტაბილურობას მიაღწევს. ეკონომიკას სჭირდება მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება, მაგრამ ინფლაციური წნეხის არსებობის პირობებში ამის შესაძლებლობა სებ-ს არა აქვს, რადგან მას ანუ ინფლაციის ეშინია. ასეთ შემთხვევაში სხვა რაღაც უფრო მეტად დაზარალდება“**, – განაცხადა **გულედანმა.**

**ეკა ბაქრაძე**

# მშვიდობით!



**გუშინ, საგურთალოს სასაფლაოზე, ანდერძის თანახმად, გერმანიაში გარდაცვლილი ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ენვერ ნიჟარაძე მეუღლის გვერდით დაკრძალეს.**

**პოეტი ჯემალ დავლიანიძე ამ გულწრფელი სტრიქონებით გამოეთხოვა სიყრმის მეგობარსა და თანამებრძოლს.**

## ვენახივით ვალმოხდილო

**ენვერ ნიჟარაძეს**

**შემოდგომის ვენახივით ვალმოხდილო –**
**ჩემო ძმობილო!**
**უფლის გზებზე განსაცდელთა**
**მშვიდობიანად გავლას გისურვებ,**

**უცხო მხარეში მწუხარებით გადახვეწილო,**
**ანჩისხატში მოვილოცებ, სანთელს დაგინთებ...**
**აწ ზეციურში ანგელოზების მიერ ხმობილო,**
**შემოდგომის ვენახივით ვალმოხდილო,**
**ჩემო ძმობილო!**

— — — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**ენვერ ნიჟარაძე**

## რა სიმშვიდეა, ქალბატონო

რა სიმშვიდეა, ქალბატონო, რა სიმშვიდეა,
ნიავმა წყნარად გადაფურცლა ძველი რვეული,
თითქოს შებრუნდა დრო და წლები უკან მიდიან,

მოგონებები მოფრინავენ სიზმარეული.
მოლისფერ ტბაში გამოცურდნენ თეთრი გედები
და დაიწინწკლა ზეცის სარკე სისხლის მარჯნებით,
მაშინ უფლისწულს და დედოფლის გვირგვინს ეძებდით
და მოკვდავთაგან ვეღარავის ვეღარ ამჩნევდით.
ის თქვენს ქუჩაზე დადიოდა სახით მწუხარით
და თოვლში მდგარი მხოლოდ თქვენზე ფიქრში თბებოდა,
სულ ერთი სიტყვა, სიტყვა მაინც რად არ უთხარით,
გეთქვათ და თუნდაც ჯოჯოხეთში წამოგყვებოდათ.
ო, რატომ მისი გულის ფეთქვა არ მოისმინეთ,
რად არ იხილეთ მშვენიერი მხარე – ლამანჩა,
სადაც ცხოვრობდა და ებრძოდა ქარის წისქვილებს
და არაფერი ლექსის გარდა სხვა არ გააჩნდა,
კი იყო, იყო დიდი ხნის წინ ეს ყველაფერი,
მაგრამ წარსული გრიგალებმა თოვლში დამარხეს,
ნუთუ თქვენ ტირით, ქალბატონო, არა, ცრემლები
სულ არ შეშვენის თქვენს ღირსებას და სიამაყეს.
ახლა დაგნათით მილეული მთვარე თითბერის,
გობელენებზე მოიწყინეს თეთრმა ვარდებმა,
მთელი სამყარო იფარება თოვლის ფიფქებით,
არც თქვენ და არც მას აღარავინ შეგიყვარდებათ.
ხომ არ შეგცივდათ, ქალბატონო, ხომ არ შეგცივდათ,
წინ ჯერ გზა გელით იქით, სადაც ზეცის კიდეა,
ჩამოდის თოვლი განუწყვეტლივ ბარდნის ზეციდან,
ჩამოდის თოვლი, იბინდება და სიმშვიდეა...

## თბილისი

მშვენიერია დედათბილისი,
ვით ფიროსმანის ძველი ნახატი,
ჩაქარვებული მთვარე მეტეხზე
და მტკვრის ტალღების ჩუმი ღაღადი.
მახსოვს ყმაწვილმა მისი კარები
ვით შემოვაღე ფრთხილად უცნობმა
და განთიადზე ნაზი სურნელი
შემომაგება ვარდისფურცლობამ.
მოწამებრივი შარავანდედით
განათებული იდგა მთაწმინდა,
ნარიყალიდან დედა ქართვლისა
გაღიმებული სასმისს მაწვდიდა.
ამ სახილველით გაოგნებული
და მონუსხული ვიდექ ყარიბი,
მაშინ მივხვდი, რომ მის სილამაზეს
კუბოს კარამდე შევიყვარებდი.
მიიქოჩრება მტკვარი დუდუნით
და დღე გასული ახლით იცვლება,
მუდამ, თბილისში როცა ვბრუნდები,
ჩემში ილვიძებს ის განცვიფრება.
ვაი, რომ ღმერთმა ყველას ამ ქვეყნად
მცირე ხნით გვარგო ყოფნა მდგმურებად,
თორემ მე აბა, ვით მომწყინდება
ჩემი თბილისის ზეცის ყურება...

# „დემოკრატიების ალიანსის“ ფონდის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მთავრობის გამჭვირვალობის კუთხით დადებითად არის შეფასებული და ე.წ. მწვანე ზონაშია




**„დემოკრატიის ალიანსის“ ფონდმა „დემოკრატიის აღქმის ინდექსის“ შესახებ ანგარიში მოამზადა, რომლის მიხედვით, ქართველების უმრავლესობა დემოკრატიის მთავარ მიზნად/დანიშნულებად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობას ასახელებს.**

კვლევის მიხედვით, რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა, რა არის მათთვის დემოკრატიის მთავარი მიზანი, სავარაუდო პასუხებს შორის კი ჩამოთვლილი იყო შემდეგი საკითხები: ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და კეთილდღეობა, მთავრობის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა, ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სამართლიანი და მშვიდობიანი საზოგადოების წინ წაწევა.

პასუხებიდან ქართველების უმეტესობამ უპასუხა, რომ დემოკრატიის მთავარი მიზანი მათთვის არის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და კეთილდღეობა. ქართველებთან ერთად, ანალოგიური პასუხი გამოთქვეს ავსტრალიელებმა, ჩინელებმა, ბრაზილიელებმა, ბელარუსებმა, მოლდოველებმა, ლიეტუველებმა, ესპანელებმა, რუსებმა, სერბებმა, ირანელებმა და ა.შ.

ამავე კვლევის მიხედვით, საქართველო აღმოჩნდა იმ ხუთ ქვეყანას შორის, სადაც დემოკრატიის არსებობას აფასებენ, როგორც „უკიდურესად მნიშვნელოვანს“ ან „ძალიან მნიშვნელოვანს“. ასე ფიქრობს საქართველოში გამოკითხულთა 86%.

**მაგალითისთვის, საბერძნეთში ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოკითხულთა 89%-ს, თურქეთში – 87%-ს, ურუგვაიში – 86%-ს და უნგრეთში – 85%-ს.**

კვლევის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც უცხო ქვეყნის მხრიდან შესაძლო სამხედრო თავდასხმა ყველაზე მეტად აშფოთებთ. ასეთ ქვეყნებს შორის არის ასევე უკრაინა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ფილიპინები.

ამასთან, საქართველოში გამოკითხულთა უმეტესობამ მხარი დაუჭირა თავდაცვის ხარჯების გაზრდას, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ეს მოითხოვს გადასახადების გაზრდას და ხარჯების შემცირებას სხვა სფეროებში. ანალოგიურად ფიქრობს გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე პოლონეთში, ნორვეგიაში, უკრაინაში, ფინეთში, შვედეთში, ნიდერლანდებსა და დიდი ბრიტანეთში.

ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის „დემოკრატიების ალიანსის ფონდის“ კვლევაში მოცემული რუკის მიხედვით, ევრაზიის კონტინენტზე საქართველო იმ ქვეყნებს შორის არის, სადაც საზოგადოება აშშ-ისადმი მკვეთრად დადებითად არის განწყობილი.

**„დემოკრატიების ალიანსის ფონდის“ დაკვეთით კვლევა კვლევითმა ორგანიზაციამ – Nira Data-მ 100 ქვეყანაში ჩაატარა. კვლევის ავტორი ორგანიზაციის მიხედვით, გამოკითხვა მსოფლიო მასშტაბით ონლაინ, 9-23 აპრილის პერიოდში ჩატარდა.**

**ამავე ანგარიშის მიხედვით, „დემოკრატიების ალიანსის“ ფონდის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მთავრობის გამჭვირვალობის კუთხით დადებითად არის შეფასებული და ე.წ. მწვანე ზონაშია.**

# თიანეთს ყველამ უნდა მიჰბაძოს!




**თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის ლევან წიკლაურის ინიციატივით, ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიზარდა.**

**ერთი შვილი – 1500 ლარი, ნაცვლად 300 ლარისა;**

**ორი შვილი – 3000 ლარი, ნაცვლად 400 ლარისა;**

**სამი შვილი – 4500 ლარი, ნაცვლად 500 ლარისა;**

**ყოველ მომდევნო შვილზე არსებული თანხა გაიზრდება 1500 ლარით.**



**ტყუპები – 10 000 ლარი, ნაცვლად 1000 ლარისა;**

**გარდა ამისა, ფულადი დახმარება ყოველთვიურად გადაეცემათ 1 წლამდე ბავშვის ოჯახებს:**

**I შვილი – ყოველთვიურად 150 ლარი;**
**II შვილი – 300 ლარი;**
**III შვილი – 450 ლარი;**

**ყოველ მომდევნო შვილზე არსებული თანხა გაიზრდება 150 ლარით.**

ფინანსური დახმარების მისაღებად, მერიაში მშობლის განაცხადი უნდა დაფიქსირდეს ბავშვის დაბადებიდან 3 თვის განმავლობაში.

ამასთან, აუცილებელია, ორივე მშობელი რეგისტრირებული იყოს თიანეთის მუნიციპალიტეტში;

ორივე მათგანს მინიჭებული ჰქონდეს „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის“ სტატუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვე ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობდეს თიანეთის მუნიციპალიტეტში.

# თბილისი ტურიზმის მასშტაბურ სამიტს მასპინძლობს

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ორგანიზებით, თბილისში, B2B Summit by Tarifa მიმდინარეობს. 2-დღიანი ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ეწვია 50 მაღალი გაყიდვების მქონე საერთაშორისო ე.წ. ბაიერი ცენტრალური და დასავლეთ ევროპის სამიზნე ბაზრებიდან და 40 სერვისის მიმწოდებელი კომპანია.**

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოში, ევროპული კომპანიების წარმომადგენლებისთვის გაცნობითი ტურები მოეწყობა. ასევე, სხვადასხვა სასტუმროებისა და ღონისძიების ჩატარების ადგილების ინსპექტირების ტურები გაიმართება, რათა ევროპული კომპანიები გაეცნონ საქართველოს საქმიან ტურისტულ ინფრასტრუქტურას სამომავლოდ მასშტაბური ფორუმების, სამიტების, კონგრესებისა და კონფერენციების ჩასატარებლად.

**„ჩვენ დავაორგანიზეთ ეს სამიტი, რადგან საქართველოს მიმართულებით ძალიან ბევრი პირდაპირი ავიარეისი სრულდება პოლონეთიდან. ამ ღონისძიებისთვის გადავწყვიტეთ, პოლონეთიდან, ასევე ევროპის სხვა ქვეყნიდან და ჩინეთიდან „ბაიერები“ ჩამოგვეყვანა, რომ ამ მიმართულებას, საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალს გასცნობოდნენ, სადაც შესაძლებელია მსხვილი ღონისძიებების გამართვა და ხალხის ჩამოყვანა ბიზნეს შეხვედრებისთვის. ვფიქრობ, სერვისის მომწოდებლები მოხარულები არიან ბაიერებთან შეხვედრებით და იმ ტურებით, რომელიც დაგეგმილია“** – განაცხადა კონგრესის ხელმძღვანელმა **მაჩიეჲ ვოიჩუკმა.**



„რუსეთის არმიისა და შეიარაღების განახლება უპრეცედენტო ტემპებით მიმდინარეობს“, — ნათქვამია ბრიტანულ ჟურნალ „ეკონომისტში“ (The Economist) გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „რა ხდება პუტინის იარაღის საიდუმლო იმპერიაში“. პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ კრემლის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ქარხნების აქტიურობა სულ უფრო მატულობს და არ არის გამორიცხული, რომ სამხედრო წარმოების თვალსაზრისით, რუსეთი მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკებისათვის სამაგალითო გახდეს, თუმცა არსებობს პრობლემებიც.

გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:

The Economist

# რა ხდება პუტინის იარაღის საიდუმლო იმპერიაში?!



**ამას წინათ ევროპაში ნატოს კონტინგენტის მთავარსარდალმა, გენერალმა ქრისტოფერ კავოლიმ აშშ-ს კონგრესის ზედა პალატის — სენატის კომიტეტს შეატყობინა, რომ რუსეთში უპრეცედენტოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს არმიის პირადი შემადგენლობის, შეიარაღების (ტანკების) და საბრძოლო მასალების განახლება.**

**მიმდინარე წელს** რუსეთის სამხედრო ქარხნები გამოუშვებენ 1500 ტანკს და ეს მაშინ, როცა აშშ-ს მხოლოდ 135 ტანკის გამოშვება შეუძლია. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაგეგმილი აქვს მიმდინარე წელს ქვეითთა 3000 ჯავშანმანქანის მიღება, აშშ კი დღეისათვის არცერთ მსგავს საბრძოლო მანქანას არ აწარმოებს. მოსკოვი ასევე გეგმავს თვეში 250 ათასამდე ჭურვის დამზადებას, რაც შესაძლებლობას მისცემს რუსეთს იმდენი რეზერვი დააგროვოს, რომელიც **„სამჯერ აღემატება აშშ-სა და ევროპის სამხედრო პოტენციალს, ერთად აღებულს“**.

რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გაფართოების მასშტაბების გასაგებად „ეკონომისტს“ კონსულტაციები ჰქონდა დასავლურ კომპანიებთან, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტს უყენებენ სხვადასხვა წყაროებიდან სტატისტიკური მონაცემების შესარჩევად. ამასთან, კომპანიებმა „ეკონომისტის“ რედაქციას სთხოვეს, რომ მათი დასახელება ანონიმური დარჩეს.

განვიხილოთ რუსეთის ცალკეული ქარხნების მონაცემები:

**„ურალვაგონზავოდი“ — რუსეთის უდიდესი ქარხანა თანამედროვე ტანკების წარმოების მხრივ. მისი საკონვეიერო სიმძლავრე ბოლო 12 თვის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა 2023 წელთან შედარებით. აქვს წარმოების სრული ციკლი, მუშაობის რეჟიმი — უწყვეტი.**

**„ომსკტრანსმაში“ დასავლეთში ცნობილია როგორც „ომსკის სატანკო ქარხანა“ და არის რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო საბრძოლო ტექნიკის დამზადების თვალსაზრისით. „ომსკტრანსმაში“ ასევე არემონტებს მოძველებულ ტანკებს „ტ-80“-ებს და მათ მოდერნიზებას ახდენს. ქარხანა სრული ციკლით მუშაობს, სადღეღამისო რეჟიმით. „ომსკტრანსმაშის“ აქტიურობა შესამჩნევი იყო 2022 წლის თებერვლამდეც, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საკადრო თანამშრომლების რაოდენობა სწრაფად გაიზარდა და 2023 წლის შუახანებისთვის მაქსიმუმს მიაღწია.**

რუსეთში, რასაკვირველია, სხვა მსხვილი სამ-

---

სამხრეთ და დასავლეთ აზიის გზაჯვარედინზე მდებარე პაკისტანი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის შექმნის მიზეზი და წინაპირობა მუსლიმანური რწმენა იყო. 1947 წელს ბრიტანეთის იმპერიიდან ინდოეთის გამოყოფის შედეგად, ორი ქვეყანა წარმოიშვა: მუსლიმანური პაკისტანი და ინდოეთი. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, პაკისტანი მე-6 ქვეყანაა მსოფლიოში თავისი 240 მილიონი მცხოვრებით. ადამიანების უდიდესი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს. პოლიტიკური წყობით, საპარლამენტო სახელმწიფოა, თუმცა, ქვეყნის ელიტას სამხედრო პირები წარმოადგენენ. ამიტომ პაკისტანში ხშირად ხდება ხოლმე სამხედრო გადატრიალება. გენერალიტეტს დიდი გავლენა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ყოფაზე. დღეს პაკისტანის პრემიერ-მინისტრი 73 წლის შეჰბაზ შარიფია.

# ვინ არის პაკისტანის პრემიერი შეჰბაზ შარიფი?



**ის პენჯაბის პროვინციის დედაქალაქ ლაჰორში დაიბადა. შარიფების დიდი ოჯახი პაკისტანის პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტას მიეკუთვნება. შეჰბაზის მამა მუჰამედ შარიფი მრავალი კომპანიის მფლობელი ბიზნესმენი იყო. შეჰბაზს ორი ძმა ჰყავდა, ორივე ცნობილი პოლიტიკოსი. ერთ-ერთი ძმა აბას შარიფი ნაადრევად გარდაიცვალა. მეორე, ნავაზ შარიფი კი სამჯერ იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ოჯახი წარმოშობით ქაშმირიდანაა, მაგრამ ბრიტანულ-ინდური გაყოფის დროს, ლაჰორში გადავიდა საცხოვრებლად. შეჰბაზმა უმაღლესი სასწავლებელი ეკონომიკის განხრით დაამთავრა.**

ბაკალავრის წოდება რომ მოიპოვა, ოჯახის კომპანიაში დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით, მამამ შეჰბაზს ფოლადის გადამმუშავებელი ქარხანა გადასცა მფლობელობაში. 1985 წელს, შეჰბაზი პენჯაბის სავაჭრო პალატის პრეზიდენტად აირჩიეს. მალე იგი თავისი ძმის მიერ დაარსებულ პარტიაში, მუსლიმთა ლიგაში გაწევრიანდა, და ამ პარტიის საარჩევნო სიით, პენჯაბის პარლამენტის წევრად აირჩიეს. 1990 წელს მუსლიმთა ლიგამ პაკისტანის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, და ნავაზ შარიფი — ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, შეჰბაზი კი, ქვეყნის პარლამენტის წევრი გახდა.

1997 წელს შეჰბაზმა პენჯაბის პროვინციის პარლამენტის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, რომელიც დამაჯერებლად მოიგო და პენჯაბის პროვინციის გუბერნატორი გახდა. პენჯაბის პროვინცია პაკისტანის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტი ცხოვრობს. ამიტომ, პენჯაბის გუბერნატორს დიდი გავლენა აქვს ეროვნულ პოლიტიკაზე. 1999 წელს პაკისტანში გენერალმა პერვეზ მუშარაფმა სამხედრო გადატრიალება მოაწყო და მთელი მთავრობა დაიჭირა. დაიჭირეს შეჰბაზის მთელი ოჯახი, მისი ჩათვლით. მოგვიანებით, საუდის არაბეთის ჩარევით, გენერალმა მუშარაფმა შარიფების ოჯახის ყველა წევრი გაათავისუფლა, მაგრამ ქვეყნიდან გააძევა.

**2007 წელს პაკისტანის ხელმძღვანელობამ შარიფების ოჯახის წევრებს ქვეყანაში დაბრუნების ნება დართო. ერთი წლის შემდეგ, შეჰბაზ შარიფი კვლავ აირჩიეს პენჯაბის პროვინციის გუბერნატორად, და ეს თანამდებობა მას 2018 წლამდე ეკავა. შეჰბაზმა ამ პოსტზე ეფექტური მენეჯერის რეპუტაცია მოიპოვა. მისი გუბერნატორობის დროს, პენჯაბში მრავალი რეფორმა გატარდა. მისი თაოსნობით, პენჯაბში ბევრი უფასო სკოლა გაიხსნა, მცირე ბიზნესის დასახმარებლად, უპროცენტო კრედიტები გაიცა, კრიმინალთან ბრძოლისთვის, სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა ჩატარდა, და არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი.**

მანამდე, პაკისტანის არცერთ პოლიტიკოსს არ შეუნარჩუნებია ამდენი ხნით ეს თანამდებობა. 2018 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მუსლიმთა ლიგა ნავაზ შარიფის ლიდერობით, დამარცხდა. არჩევნებში, იმრან ხანმა გაიმარჯვა და ქვეყნის

**ხედრო ქარხნებიც არის – „არზამასის მანქანათმშენებელი ქარხანა“ – უშვებს ჯავშანტრანსპორტიორებს და „ვეფხვის“ ტიპის ჯავშნიან ავტომობილებს. „კურგანმაშზავოდი“ – ამზადებს ქვეითთა საბრძოლო მანქანებს და თვითმავალ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებს. „მოტოვილიხზავოდი“ – ამზადებს დანადგარებს „გიაცინტს-ბ“-ებს, რეაქტიული სისტემის ზალპური ცეცხლის სისტემას „სმერჩს“ და „ურაგანს“. ისინი მუდმივად აფართოებენ და ზრდიან სიმძლავრეებს.**

ეკატერინბურგის „დევიატიი ზავოდი“ („ქარხანა N 9“) აწარმოებს ჰაუბიცებისა და ტანკების ლულებს. კოსმოსიდან თანამგზავრების მიერ გადაღებულ ფოტოსურათებზე შეიძლება ღია ცის ქვეშ თავმოყრილი ქვემეხების დანახვა. ქარხნიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს საკონსტრუქტორო ბიურო „ნოვატორი“, რომელიც დაკავებულია საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების დაპროექტებით. წარმოების გაფართოების ნიშნები ჩანს ვოლგოგრადის ცენტრ „ტიტან-ბარიკადში“ და ტულის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპლავ“-ში, სადაც მზადდება რეაქტიული ჭურვები „ურაგანებისა“ და „სმერჩებისათვის“.

**რუსეთის არმიის მიერ ყოველწლიური მოხმარების მიზნით სამი მილიონი ჭურვის დასამზადებლად საჭიროა კოლოსალური რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება. ნიჟნი ნოვგოროდის ოლქის ქალაქ ძერჟინსკში მდებარე საწარმოში „ზავოდ იმენი სვერდლოვა“ („სვერდლოვის სახელობის ქარხანა“) არსებობს ქიმიური ნივთიერებების საამქროები რეაქტიული ჭურვებისა და „მფრინავ-პლანერული ბომბებისათვის“. აქ პროდუქციის გამოშვება მხოლოდ გოლო თვეებში, სანდო წყაროების მონაცემებით, მრავალჯერადად გაიზარდა.**

რუსული, ევროპული და ევრაზიული კვლევების ცენტრის თანამშრომლის ჯულიან კუპერის თქმით, წარმოების მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა მრავალპროფილიან ქარხანა „სელმაშ“-ში, რომელიც კიროვში მდებარეობს. იქ საბრძოლო მასალების გარსაცმებს ამზადებენ.

ირანელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი დრონი-„კამიკაძე“ „შაჰედ-136“ (Shahed-136) სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩანს უკრაინის ცაში: 2025 წლის მარტში დაფიქსირდა 140 შეტევა ყოველდღიურად, რომელიც ბევრად აღემატება შარშანდელ მონაცემებს. ირანულ დრონებს აწყობენ თათრეთში მდებარა „ალაბუგის“ ქარხანაში და იქვე ახლოს მდებარე აეროპორტ „ბეგიშევოს“ სახელოსნოებში.

მაგრამ მხოლოდ ეს არ არის რუსეთის სამხედრო წარმოების აქტიურობის ნიშნები. „ეკონომისტი“ სხვა მიმართულებებსაც თვალს ადევნებდა. მაგალითად, ალტაის პატარა ქალაქ ბიისკში არსებულ სამხედრო კვლევების ერთ-ერთ ცენტრში აწარმოებენ ოლეუმს – თანამედროვე ასაფეთქებელი ნივთიერების მთავარ კომპონენტს. კოსმოსური დაზვერვის შედეგად ირკვევა, რომ ქარხანაში ტრანსპორტის შესვლისა და გასვლის სიხშირე 19%-ით გაიზარდა 2023 წელთან შედარებით, ხოლო სამუშაო ადგილზე ყოფნის დრო – 32%-ით.

**მაგრამ რუსეთის თავდაცვითი მრეწველობისათვის ძველებურად არსებობს გარკვეული შეზღუდვა. 2024 წელს რუსეთის არმია ძირითადად ჩრდილოკორეული საბრძოლო მასალების იმპორტის იმედად იყო, მაგრამ ფხვნიანსაც ჭურვების მარაგი გამოულეველი არ აქვს. ლონდონის თავდაცვითი კვლევების გაერთიანებული სამეფო ინსტიტუტის (RUSI) მონაცემებით, რუსეთი დღემდე ახდენს საარტილერიო დანადგარებისათვის აუცილებელი ზოგიერთი კომპონენტის იმპორტს, მაგალითად, ლულების დასამზადებლად ქრომის შესყიდვას საზღვარგარეთ, აგრეთვე ბამბის ცელოლუზისაც, რომელიც გამოიყენება დენთის წარმოებისათვის.**

**„დღეს არ არის არცერთი ობიექტური მიზეზი იმისა, რომ რუსეთის სამხედრო საწარმოები ტემპს ვერ შეინარჩუნებენ საკმაო დროის განმავლობაში“**, – წერს **ჯულიან კუპერი** სტატიაში, რომელიც მან RUSI-ის დაკვეთით მოამზადა, – **„ბედის მწარე ირონიაა, რომ დღეს დასავლეთის ყველა განვითარებული ეკონომიკები ყურადღებით დააკვირდებიან ყველაფერს, რასაც რუსეთი აწარმოებს – სწორი ადაპტაციის მიზნით“.**



**მოამზადა**
**სიმონ კილაძე**

---

მეთაურობა გაინაღდა. ნავაზ შარიფმა პარტიის ლიდერის პოსტი დატოვა. მუსლიმთა ლიგამ, თავის ახალ ლიდერად, ნავაზ შარიფის ძმა, შეჰბაზ შარიფი აირჩია, რომელიც ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში და იმრან ხანის მწვავე კრიტიკოსი გახდა. 2020 წელს, კორუფციის ბრალდებით, შეჰბაზ შარიფი დააპატიმრეს, თუმცა, შვიდი თვის შემდეგ, გაათავისუფლეს, რადგან სასამართლომ დამნაშავედ არ ცნო.

**როგორც თავად აღნიშნა, მისი დაპატიმრება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. ამ პერიოდში პაკისტანში პოლიტიკურმა კრიზისმა იჩინა თავი. პრემიერ-მინისტრი იმრან ხანი პაკისტანის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, კერძოდ, გენერალიტეტს დაუპირისპირდა. დაძაბულობის მიზეზი პაკისტანის საგარეო პოლიტიკის ვექტორის შეცვლა იყო. იმრან ხანმა ანტი-ამერიკული პოლიტიკის გატარება და ჩინეთთან დაახლოება დაიწყო. პაკისტანის ელიტა კი, ამის წინააღმდეგი იყო, რადგან ამერიკისგან მილიარდობით დახმარებას იღებდა. 2022 წლის მარტში შეჰბაზ შარიფმა და მისმა პარტიამ იმრან ხანის იმპიჩმენტის პროცესი წამოიწყო.**

აპრილში, პარლამენტმა საჩივარი დააკმაყოფილა და იმრან ხანი პრემიერ-მინისტრობის პოსტიდან გადაირჩია. იმავე დღეს, პარლამენტმა პაკისტანის პრემიერ-მინისტრად ოპოზიციის ლიდერი შეჰბაზ შარიფი აირჩია. ასე გახდა შეჰბაზ შარიფი პაკისტანის მე-20 პრემიერი. იმრან ხანმა და მისმა პარტიამ დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და მასობრივი საპროტესტო ტალღა ააგორა. ერთ წელიწადში, ამ პროტესტის საპასუხოდ, პაკისტანის მთავრობამ იმრან ხანი დააკავა და მის პარტიას პოლიტიკური მოღვაწეობა აუკრძალა. შეჰბაზ შარიფმა პარლამენტი დაითხოვა და 2024 წლის თებერვალში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნა.

არჩევნებს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა, რადგან იმრან ხანის პარტია აკრძალული იყო. არჩევნებში შარიფების მუსლიმთა ლიგამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა. ამიტომ შეჰბაზ შარიფმა ბენაზირ ბჰუტოს დაარსებულ სახალხო პარტიასთან სამთავრობო კოალიცია შექმნა. 2024 წლის 3 მარტს შეჰბაზ შარიფი პარლამენტმა მეორეჯერ დაამტკიცა პაკისტანის პრემიერ-მინისტრად.

პოლიტიკოსმა თავისი მთავრობის მთავარ ამოცანად ეკონომიკის გაძლიერება და ამერიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესება დაასახელა. პაკისტანში, ათწლეულზე მეტია, რაც ეკონომიკური კრიზისია. ამიტომ პაკისტანს უცხოური ინვესტიციები ჰაერივით სჭირდება. ქვეყანას, ფინანსურად, ჯერჯერობით, მხოლოდ ამერიკა და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეხმარება. პირადად შეჰბაზ შარიფის დამსახურებაა, რომ სავალუტო ფონდმა პაკისტანს სამიმილიარდი დოლარის დახმარება გამოუყო.

**ასევე, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, პაკისტანის ხელმძღვანელობამ არაპოპულარულ ხერხებს მიმართა: სახელმწიფო მოხელეებს ხელფასები გაუნახევრა და სოციალური დახმარება შეკვეცა. საგარეო პოლიტიკაში, შარიფის კაბინეტის მთავარი გამოწვევა ინდოეთთან დაპირისპირებაა. პაკისტანის ხელმძღვანელობას არ სურს ინდოეთთან კონფლიქტის გამწვავება, მაგრამ, ამ ორ ქვეყანას შორის, ერთმანეთის მიმართ ისეთი მტრული განწყობა სუფევს, რომ პატარა ინციდენტიც კი, ომის საშიშროებას იწვევს. შეჰბაზ შარიფი ორჯერ იყო ქორწინებაში. ახლა მისი მეუღლე პაკისტანის ცნობილი მხატვარი და მწერალი ტეჰმინე დურანია. შეჰბაზ შარიფს ოთხი შვილი ჰყავს.**



**ნუგზარ (ბ) რუხაძე**
**POSTV**

# განცხადება

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

**1.2025 წლის 13 მაისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:**

1.1 **რადიობიოლოგიის ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ა“,კატეგორია);

1.2 **ბიოფიზიკის ლაბორატორია – მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ა“კატეგორია); მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“კატეგორია);**

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. **მთავარი მეცნიერ თანამშრომლის** თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მიღებიდან სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ – სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის (ლაბორატორია), დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;

4.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

4.3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

4.4. დიპლომების ასლები;

4.5 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი:

ა) სტატიების სრული სია;

ბ) თეზისების სრული სია;

4.6. საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

5. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

6. კონკურსის ჩატარების თარიღია 2025 წლის 25 ივნისი.

7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2025 წლის 16 ივნისიდან 2025 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

7.1. არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

8. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში,

მისამართი: 0160, თბილისი, ლ. გოთუას ქუჩა N14, II სართული, სამდივნო. (საბუთების მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე).

9. კონკურსანტების განცხადებების რეგისტრაციისა და საბუთების მისაღებად შეიქმნას სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

**საკონტაქტო პირები:**

**მარიამ ირემაშვილი** – ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

**ნინო ემუხვარი** – დირექტორის თანაშემწე;

ტელ.: 2 37 12 31; 2 37 03 00 ((227), (229), (225));

E-MAIL – **secretary@biomedicine.org.ge**

10. ინფორმაცია კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობითა და ცენტრის წესდებით გათვალისწინებული წესით.

# შეგირდი და ოსტატი




## გამარჯვებულის მენტალიტეტით

**დასავლეთში ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 8 მაისს აღნიშნავენ და რაოდენ სიმბოლურია, რომ 1970 წლის სწორედ 8 მაისს დაიბადა გამოჩენილი ესპანელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ლუის ენრიკე, რომელსაც, რომ იტყვიან, შუბლზევე აწერია, რომ ტიტულებისთვის მოევლინა სამყაროს.**

მოთამაშის კარიერა მისთვის იმითაცაა აღსანიშნავი, რომ რეალიდან ბარსელონაში გადასვლით საკუთარ ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს გაუსვა ხაზი, ხოლო ზიდანთან გახმაურებული გაწევ-გამოწევით, რომელიც მაშინ სამეფო კლუბის სპორტულ ღირსებას იცავდა, უკვე თავის პიროვნულ ღირსებებზე თქვა ხმაურიანი სიტყვა.



კიდევ უფრო ქუდმედიანად ვითარდება ლუჩოს სამწვრთნელო ცხოვრება, რომლის გვირგვინსაც ჯერჯერობით კატალონიურ გრანდთან ერთად 10 წლის წინათ ბერლინში მოგებული ჩემპიონთა ლიგა წარმოადგენს, თუმცა ჩვენთვის სულ სხვა დატვირთვა აქვს 55 წლის პარი სენ-ჟერმენის თავკაცის რანგში ამავე მიღწევის 31 მაისს ისევ გერმანიაში, ამჯერად მიუნხენში მილანის მრისხანე ინტერთან გამეორებას.

ამით ხომ ხვიჩა კვარაცხელია ელიტური ევროტურნირის მეორე ქართველი ტრიუმფატორი გახდება კახი კალაძის შემდეგ!

სხვათა შორის, ამ ორ გუნდს უკავშირდება ჩემპიონთა ლიგაში აქამდე მომხდარი ერთადერთი ისტორიული ფაქტი, როცა ორი ესპანელი ტაქტიკოსის დაუვიწყარ ორრაუნდიან დუელში ლუის ენრიკეს გაწვრთნილმა ბარსელონამ 4-ბურთიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა უნაი ემერის დამოძღვრილ პსჟ-ს 0:4, 6:1!






**და ბოლოს: ლუის ენრიკე უდიდეს ტკივილს უმკლავდება 9 წლის ქალიშვილის ოსტეოსარკომით დაღუპვის გამო. ეტყობა, ესეც ამ სულით ძლიერი ვაჟკაცის ბედისწერაა, გამარჯვების დღეს რომაა დაბადებული.**

## ოქროს ბურთისკენ!

ბრიტანულმა გამოცემამ Givemesport-მა მსოფლიოს საუკეთესო დრიბლიორები დაასახელა, სადაც პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებისა და „პარი სენ-ჟერმენის“ შემტევმა **ხვიჩა კვარაცხელიამ** დაიკავა, მეორე ადგილზე რაიან შერკია, ხოლო მესამეზე ჯამალ მუსიალა გავიდა.

**„ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიში“ მხოლოდ ორი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული და გულშემატკივარი უკვე ლეგენდარულ დიეგო მარადონას ადარებდა. მისი სახელი გაზეთების მთავარ გვერდებზე იყო გამოტანილი და გულშემატკივარმა მას „კვარადონაც“ შეარქვა. რა თქმა უნდა, ეს მეტწილად მისი რთულად წარმოსათქმელი გვარის გამო იყო, მაგრამ შედარება მარადონასთან უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ხვიჩას ისეთი ცრუმოძრაობები და დრიბლინგები ჰქონდა, რის გამოც მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო დრიბლიორთან შედარებას ნამდვილად იმსახურებდა.**

**საჩემპიონო სეზონის შემდეგ „ნაპოლის“ რეგრესი დაეწყო, თუმცა არა კვარაცხელიას, რომელიც მეტოქე გუნდების მცველებისთვის კვლავ ამოუცნობი რჩებოდა. ქართველი ფეხბურთელი იანვარში პსჟ-ში გადავიდა და ახალი ცხოვრება ცეცხლოვნად დაიწყო. ქართველი ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია, რომ პარიზელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ“**, – წერს ბრიტანული გამოცემა ხვიჩა კვარაცხელიაზე.

გამოცემის მიხედვით თანამედროვეობის საუკეთესო დრიბლიორთა TOP 10 ასე გამოიყურება:

**1 ხვიჩა კვარაცხელია, 2 რაიან შერკი, 3 ჯამალ მუსიალა, 4 ვინისიუს ჟუნიორი, 5 უსმან დემბელე, 6 ლიონელ მესი, 7 ლამინ იამალი, 8 დეზირე დუე, 9 ნიკო უილიამსი, 10 კილიან მბაპე.**

## ძალა ქართული

**აკაკი ჯინჭარაძე (+107 კგ) თბილისში გამართული პარაძალოსანთა მსოფლიო თასის გათამაშების გამარჯვებულია. პარალიმპიადის ორგზის მედალოსანმა და ევროპის ჩემპიონმა ქართველმა ძალოსანმა ინდივიდუალურ ტურნირში 240 კგ ასწია, სამი მისვლის ჯამში 475 კგ ჩათვალა და საქართველოს ნაკრებს ორი ოქროს მედალი მოუტანა.**

თბილისის მსოფლიო თასზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **შოთა ომარაშვილმა, თემო დადიანმა, მირანდა გიგაშვილმა** და **თამარ ჩალათაშვილმა.**

საქართველოს ნაკრები აღნიშნულ ფორუმზე სხვადასხვა წონით კატეგორიაში 28 პარასპორტსმენით გამოვიდა – 20 ვაჟი და 8 ქალი.

მსოფლიო თასის ორგანიზატორი და მასპინძელი საქართველოს პარალიმპიური კომიტეტია.



# უქმეების ამბები



### რაგბი

**დიდი 10.** ფინალი. ქუთაისი. აია – ბათუმი 10:14. მსაჯი – **შოთა თევზაძე.** აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელებმა მე-15 წუთიდან რიცხობრივ უმცირესობაში ითამაშეს, რადგან მათი შერკინების კვაჭი **ვაჟა თაგაური** წითელი ბარათით დაისაჯა, მაგრამ მე-5 საჩემპიონო ტიტული მაინც მოიხვეჭეს.

ოქროს ლელო 64-ე წუთზე ბრძოლაში მარქაფიდან ჩართულმა **სერგი ჩხაიძემ** დადო.

### ხელბურთი

**როგორც** უკვე გაუწყეთ, **ტიტე კალანდაძის** გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები ბერძნებთან მოპოვებული გამარჯვებით ზედიზედ მეორედ გავიდა ევრო – 2026-ზე (დანია, ნორვეგია, შვედეთი) და მილიონლარიანი სოლიდური სამთავრობო ჯილდოც დაიმსახურა.

ჯგუფური რაუნდის უმოტივაციო შეხვედრაზე ისლანდიაში ჯვაროსნები რამდენიმე ტრავმირებული და დაღლილი ლიდერის გარეშე გაემგზავრნენ და ფავორიტთან უთანასწორო ბრძოლა 21:33 დათმეს.

### ჭადრაკი

**ინდოეთი.** საერთაშორისო ფესტივალები. 3 ოქრო და 1 ვერცხლი – **ლევან ფანცულაია.** საქართველოს ჩემპიონმა „ა“ კატეგორიის ბოლო ტურნირში (235 მონაწილე 16 ქვეყნიდან) 8,5 ქულით დაუმარცხებლად დაიმსახურა მთავარი პრიზი.

**ბაქო (აზერბაიჯანი).** საერთაშორისო ფესტივალი (60 მონაწილე 11 ქვეყნიდან). **ვერცხლი** (დაუმარცხებლად) – ბაადურ ჯობავა – 6,5 ქულა 9 შესაძლებლობიდან.

### მძლეთამძლენი

**გერმანია.** სტრონგმენთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს 7-წევრიანი ნაკრები – 6 მედალი.

**ოქრო** – ნიკა სამხარაძე, ჭაბუკა ჭიღლაძე. შემოდგომაზე ჩვენი გუნდი ასევე გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს.

### ძიუდო

**გორი.** ევროპის თასის გათამაშება. საქართველოს ნაკრები – 23(!) მედალი.

**ოქრო** – ნონა კვარაცხელია, გიორგი იანტბელიძე, ალექსანდრე ლოლაძე, ნიკოლოზ დავლაძე, შალვა გურეშიძე.

**ვერცხლი** – იპოლიტე აქუბარდია, გიორგი ხმალაძე, საბა ქარდავა, თამარ გიგოლაევა.

**ბრინჯაო** – მათე გოგობერიშვილი, ხვიჩა გაფრინდაშვილი, საბა საბაშვილი, ვაჟა ავაზნელი, მიხეილ ჯაფარიძე, ზურაბ ჩაგელიშვილი, გაბო მუკბანიანი, ქეთი რობაქიძე, დალი მაზანაშვილი, მარიამ წურწუმია, ნინო თათრიშვილი, მარიამ ბენდელიანი, სოფიო ბედოშვილი, თამარ გამიაშვილი.

**უკვე** გაუწყეთ, რომ ასტანაში დაწყებულ ყაზახეთის გრანდ სლემზე 81 კილოში ქართულ დელეგაციას პირველი ბრინჯაო **ზაურ დვალაშვილმა** მოუტანა. ჩვენმა 9-წევრიანმა გუნდმა ასეთივე ჯილდო ტურნირის ფინიშზეც დაიმსახურა და მისი მფლობელი მძიმეწონოსანი **საბა ინანეიშვილი** გახდა.



საქართველოს რესპუბლიკა



**დროებითმა საგამოძიებო კომისიამ უფლებების შელახვის ფაქტებთან დაკავშირებული საქმე განიხილა**



# 19 წლის გიორგი ხოჭავა სასიკვდილოდ გაიმეტეს!

**2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელმა პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ უფლებების შელახვის ფაქტებთან დაკავშირებით გუშინ გიორგი ხოჭავა გამოჰკითხა.**

გიორგი ხოჭავას განცხადებით, 2010 წელს, როდესაც ის 19 წლის იყო, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილემ მეგის ქარდავამ დააკავა და აიძულებდა, ქურდობა ეღიარებინა, რომელიც მას არ ჩაუდენია.

როგორც მან აღნიშნა, **დაკავების შემდეგ, სასურველი ჩვენების მიღების მიზნით, მას სცემდნენ, რა დროსაც სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაღალჩინოსანმა კოხტა კოდუამ ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი ჩაუდო, ასევე აწამებდნენ, მათ შორის, ელექტროშოკის გამოყენებით, არ აძლევდნენ წყალს და საკვებს, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების მოკვლით, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის დროს კი, მის დედას და მეზობელს ფიზიკურად გაუსწორდნენ.**

გიორგი ხოჭავას განცხადებით, ზუგდიდის ციხეში მის მიმართ ფიზიკური ძალადობა და წამება გაგრძელდა, რა დროსაც მიღებული დაზიანებების მკურნალობის საშუალება გარკვეული პერიოდი არ ეძლეოდა.

მისივე თქმით, ზუგდიდის ციხეში ის ტუბერკულოზით დაავადდა და მხოლოდ 11 თვის შემდეგ მოხდა მისი ქსანში, ტუბზონაში გადაყვანა. ამ დროსაც ის მხოლოდ 38 კგ-ს იწონიდა.

გიორგი ხოჭავამ, ასევე, ისაუბრა ტუბზონაში მისი ცემისა და არაადამიანური მოპყრობის მრავალრიცხოვან ფაქტებზე. როგორც მან აღნიშნა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს, იგი ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა.

**„ვისი გვარებიც და სახელებიც იცით და გინდათ, რომ კომისიას მიაწოდოთ, ჩვენ ღია ვართ ამისთვის. ეს შეიძლება წერილობით ან დახურული ფორმით გაკეთდეს, ამის პრობლემა არ არის. მოგვაწოდეთ ეს გვარები და სახელები და კანონს დავუტოვოთ თავისი სათქმელი. თუ მართლმსაჯულება არ აღსრულდა სადღაც როგორც უნდა აღსრულებულიყო, მოდით, ერთად გავაკეთოთ ის, რომ მართლმსაჯულება აღსრულდეს და ჩვენ გავაგრძელოთ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა“,** – ამ სიტყვებით მიმართა დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა **გიორგი ხოჭავას.**

## საკადრო ცვლილებები საქართველოს პროკურატურაში



**პროკურატურის ინფორმაციით, გენერალური პროკურორის მოადგილედ ზურაგ გელთაძე დაინიშნა, რომელსაც პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის ცხრაწლიანი გამოცდილება აქვს, მას ასევე მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საადვოკატო საქმიანობაში.**

ასევე, თბილისის პროკურორად **გიორგი გვარამაძე** დაინიშნა. აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნამდე, ის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. **გიორგი გვარამაძე** საქართველოს პროკურატურაში წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობებს იკავებდა.

რაც შეეხება თბილისის პროკურორს **ლევან გეგეჭკორს**, იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვის სამსახურში, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა, ხოლო აღნიშნული დეპარტამენტის უფროსმა **მალხაზ კაპანაძემ** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა დაიკავა.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გიორგი გაბიტაშვილმა ახალ მოადგილესთან, თბილისის ახალ პროკურორთან და დეპარტამენტის უფროსებთან საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა.

## ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანი გადადგა...

**ბათუმის ახალი მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მურვანიძე პროფესიით სამართალმცოდნეა, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი. დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. კარიერა დაიწყო 2003 წელს საქართველოს შსს გაზეთ „სრულიად არასაიდუმლო“-ს იურიდიული განყოფილების უფროსად.**



გიორგი მურვანიძე

2004-2005 წლებში მუშაობდა ბათუმის რაიონული პროკურატურის გამომძიებლად, 2005-2006 წლებში – აჭარის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად. 2007 წლიდან სამსახურებრივი კარიერა გააგრძელა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილის თანაშემწის პოზიციაზე.

2007-2014 წლებში იყო აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი, ხოლო 2014 წლიდან დღემდე – ბიუროს უფროსის მოადგილე, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი.

არჩილ ჩიქოვანმა ბათუმის მერის თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება გუშინ გაავრცელა.

## კარალეთის ტერიტორიაზე 4, 891 კვ.მ მიწის ნაკვეთის მითვისების მცდელობა აღიკვეთა

**გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, გორის რაიონულმა სასამართლომ ფიზიკური პირის სარჩელი კარალეთში 4 891 კვ.მ ქარსაფარი ზოლის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე არ დააკმაყოფილა.**

გარდა ამისა, აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა ახლად განხორციელებული სამუშაოების კვალი: ტერიტორიაზე უკანონოდ მოჭრილი და ამოძირკვული იყო ქარსაფარი ზოლის ხე-მცენარეები, ტექნიკის საშუალებით ტერიტორიაზე მოსუფთავებული იყო მიწა. მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, მასალები გადაეგზავნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. სამართალდამრღვევ პირს დაეკისრა 46 288 ლარის ოდენობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.



## ერთ ჩანთაში ჩატენილი საწამლავი!

**მებაჟე ოფიცრებმა თბილისის აეროპორტში 12 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა და 2 კილოგრამი ჰაშიში აღმოაჩინეს.**

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტის“ მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებები – 12 კილოგრამი მარიხუანა და 2,110 კილოგრამი ჰაშიში აღმოაჩინეს. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მებაჟე ოფიცრის მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქის ბარგის რენტგენო ინსპექტირების სკანერით დათვალიერების შედეგად, აღმოჩენილი იქნა საეჭვო შიგთავსი, რის შემდეგაც უფლებამოსილი პირის მიერ მოხდა ბარგის სპეციალური წითელი ფერის წებოვანი სტიკერით ნიშანდება და ის დამატებით, ფიზიკურ დათვალიერებას დაექვემდებარა. სამართალდამრღვევ მოქალაქეს სამგზავრო ჩანთაში ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა 34 შეკვრად დაფასოებულ ჰერმეტულ შეფუთვებში ჰქონდა განთავსებული, ხოლო ამოღებული ჰაშიშის რაოდენობამ 20 შეფუთვა შეადგინა.



# საზეიმო წირვა და სპეციალური ჯილდო – მერაბ კოკოჩაშვილს

**მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში, ღვთისმშობლის წილხვდომილობის და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს საზეიმო წირვა აღევლინა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, წირვას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე,** პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, პრეზიდენტ **მიხეილ ყაველაშვილთან,** თბილისის მერ **კახა კალაძესთან,** აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან ერთად დაესწრო.

წირვა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ მღვდელმთავრებთან ერთად აღავლინა.

**საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს, 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით „საზოგადოება ივერიას" სპეციალური ჯილდო – ოქროს ჯვარი და საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელი გადაეცა.**

# გურამ ოდიშარია პლოვდივის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია

**ცნობილ მწერალ გურამ ოდიშარიას პლოვდივის უნივერსიტეტის გაზეთის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა,** – ინფორმაციას თავად მწერალი აქვეყნებს სოციალურ ქსელში.

**„ბულგარეთი. პლოვდივი. პლოვდივის უნივერსიტეტი. 2025 წლის 8 მაისი.**

**რა დამავიწყებს ბულგარულად თარგმნილი რომანის „პრეზიდენტის კატის" პრეზენტაციასა და ჩემთვის პლოვდივის უნივერსიტეტის გაზეთის საპატიო დოქტორის მონიჭებას (доктор хонорис кауза на вестник „Пловдивски университет"). პლოვდივის უნივერსიტეტი ევროპაში ერთ-ერთი უძველესია და ბულგარეთში რეიტინგით მეორე ადგილზეა"...**

**დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო შესანიშნავ პოეტს, ბატონ ტილიო ტილევს, რომანის მთარგმნელს, ქალბატონ ივანა პეტკოვას, პლოვდივის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს გულთბილი მიღებისათვის და იმ ღრმაშინაარსიანი გულწრფელი დიალოგისთვის, რომელიც ჩვენს შორის გაიმართა",** – წერს **გურამ ოდიშარია.**





# ჯაზი მაინც სხვაა!..

**„გრემის" ჯილდოს მფლობელი ჯაზ-ვოკალური კვარტეტის – New York Voices-ისა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის ერთობლივი კონცერტი გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ კონცერტს, რომელსაც მაესტრო ვახტანგ კახიძე დირიჟორობდა, საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა დაესწრნენ.

New York Voices-ი, ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე ქართველი მსმენელის წინაშე მეორედ წარდგა. კვარტეტის სოლისტები არიან: **დერმონ მიდერი, პიტერ ელდრიჯი, კიმ ნაზარიანი** და **ლორენ კინჰანი.** მათი რეპერტუარი აერთიანებს ჯაზის, ბრაზილიური, კლასიკური და პოპმუსიკის ნიმუშებს.

**ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართება, 2015 წელს თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნდა. ფესტივალის პროგრამა თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და პოპულარული მუსიკის ვარსკვლავების შემოქმედებით თანამშრომლობაზეა აგებული.**

# თბილისი Mural Fest ფესტივალი დაბრუნდა

**თბილისი Mural Fest – კედლის მხატვრობის საერთაშორისო ფესტივალი, განსაკუთრებული მასშტაბითა და ინოვაციური ფორმატით დაბრუნდა.**

რუსთაველის გამზირზე მაყურებელმა უდიდესი მოძრავი მურალი იხილა. პროექტის ავტორი ცნობილი ბერლინელი არტისტი შტეფან იმიგია.

თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს უნიკალური მურალის ნახვა დღესაც შეეძლებათ. ფესტივალი დედაქალაქის მერიის დაფინანსებითა და მხარდაჭერით მიმდინარეობს.



# ბუნიათიშვილი წლის ყველაზე გავლენიან ცხრა შემსრულებელს შორისაა!

**ხელოვანები, რომლებიც 2025 წელს კულტურას აყალიბებენ** – ასეთი სათაურით გამოაქვეყნა სტატია ახლახან მსოფლიოში ცნობილმა ჟურნალმა Elle-მა.

გამოცემის მიერ დასახელებულ 9 ყველაზე გავლენიან შემსრულებელს შორის ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილიც აღმოჩნდა.

**„მათ ნიჭზე ლეგენდები დადის, ისინი საკუთარი ხელობის ნამდვილი ოსტატები არიან",** – წერს ჟურნალი.

ოსტატ ხატია ბუნიათიშვილთან გამოცემამ მცირე ინტერვიუც ჩაწერა და პიანისტს შესრულების გამორჩეულ მანერაზე, გავლენისა და შთაგონების მნიშვნელობაზე და წინასაკონცერტო „რიტუალზე" ჰკითხა.

**„როდესაც სცენაზე ხარ, მნიშვნელოვანია, ყველაფერი გადმოსცე, რასაც იმ მომენტში განიცდი",** – ამბობს ხატია, – **„სულ ვამბობ ხოლმე, რომ, როცა სცენაზე ვარ, ემოციურად ვშიშვლდები, რადგან მუსიკის მიღმა ვერ დაიმალები. მუსიკა შენს ყველა ემოციას და განცდას აღვიძებს. ყოველ კონცერტზე ვამბობ, თითქოს, ეს ჩემი უკანასკნელი კონცერტია, რადგან მინდა, მთლიანად შევიგრძნო ყველაფერი"...**



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაზელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 16 მაისს**